ვერსია

№49 (1639) 14 — 20 დეკემბერი ოთხშაბათი 2022 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ვინ იყო საბჭოთა კავშირში ყველაზე გავლენიანი ქალი, რომელიც კრიმინალურ სამყაროს შიშის ზარს სცემდა

როგორ დაგეგმეს „იაპონჩიკის“ ყოფილმა ცოლმა და შვილმა თვითმფრინავის გატაცება

„ამას ჰქვია ღალატი!“

სკანდალური ინტერვიუ თაკო ჩარკვიანთან

„სააკაშვილის თემას ფართო საპროტესტო მასშტაბების შეძენა არ შეუძლია“

ვინ უღალატა ექსპრეზიდენტს – არჩილ გამზარდიას მოსაზრებები და ანალიზი

„სააკაშვილის თემას ფართო საპროტესტო მასშტაბების შეძენა არ შეუძლია“

ვინ უღალატა ექსპრეზიდენტს – არჩილ გამზარდიას მოსაზრებები და ანალიზი

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საიდუმლო ბინა წყნეთში – ვის მხილებას აპირებს თემურ ალასანია

ყველაფერი ის, რაც მიხეილ სააკაშვილის ბიძაზე კულუარებშია ცნობილი

საიდუმლო ბინა წყნეთში – ვის მხილებას აპირებს თემურ ალასანია

ყველაფერი ის, რაც მიხეილ სააკაშვილის ბიძაზე კულუარებშია ცნობილი

ნინო დოლიძე

„მიშას ვეუბნებოდი, არ წახვიდე-მეთქი, მაგრამ ჩემი არგუმენტები არ აღმოჩნდა საკმარისი. მისი გადაწყვეტილება ეთიკური და მორალური იყო. მას ჰქონდა არაჩვეულებრივი პატრიოტული გრძნობა. ავადმყოფურ მდგომარეობამდე მისული ნოსტალგია ქვეყნისა და ხალხისადმი. იცოდა, რომ ქვეყანა იღუპებოდა და გამოფხიზლება უნდოდა“, – ეს განცხადება რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთი ქართული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის ბიძამ, თემურ ალასანიამ გააკეთა. ამავე ინტერვიუში ალასანიამ ღალატზეც მიანიშნა და თქვა: „ვერავინ მოატყუეთ, თქვენი ტყუილები დარჩა თქვენთან. მიშამ გადაწყვეტილება მიიღო განა იმიტომ, რომ თქვენ მოატყუეთ, არამედ, თვითონ უნდოდა ასე. დროებითი თანამგზავრების საკითხი კი შესასწავლია – ესენი არიან ბევრნი, ეს არ არის ერთი, ორი და სამი კაცი. რამდენიმე თაობის წარმომადგენლები არიან – ისინი, რომლებმაც მასთან ერთად დაიწყეს, რომლებიც შემდგომში იბრძოდნენ მასთან ერთად – 2016-2020 წლებში და ისინი, რომლებიც ახლა დარჩნენ, აი, ახლა, როცა სიტუაცია გამოიცვალა და ის არის მსჯავრდებული.

ისინი, რომლებიც პოლიტიკურ ინტრიგებში კარგად ერკვევიან, ამბობენ, რომ თემურ ალასანია შემთხვევით არასოდეს არაფერს ამბობს და თან, პოლიტიკურ არენაზე მნიშვნელოვანი მოვლენების დრო ჩნდება. იმასაც ამბობენ, რომ ბიძა მიხეილ სააკაშვილისთვის „გაჭირვების ტალკვესია“.

ისე, სააკაშვილს ამ თემაზე საუბარი, შეიძლება, არ სიამოვნებს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ალასანიას მხოლოდ დიპლომატის კი არა, არამედ, საბჭოთა უშიშროებაში მუშაობის ბეგრაუნდიც აქვს.

უფრო მეტიც, სხვადასხვა წყაროს ვერსიით, თემურ ალასანია – არც მეტი, არც ნაკლები – რუსული სპეცსამსახურის გენერალია. სხვათა შორის, ამ კონტექსტში, საინტერესოა ერთი დეტალი, რომლის შესახებაც თავის დროზე, უშიშროების ყოფილმა თანამშრომელმა მითხრა. ვერ გეტყვით, ეს ინფორმაცია საიდან ჰქონდა, მაგრამ ჩემი წყარო ირწმუნებოდა, რომ 2004 წლის იანვარში ანუ მას შემდეგ, რაც ინაუგურაცია დამთავრდა, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირველი ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს გაემგზავრა. მართალია, ეს ოფიციალური ვოიაჟი გახლდათ, მაგრამ წყარო ირწმუნებოდა, რომ ვიზიტის ორი – ღია და ფარული პროტოკოლი არსებობდა.

ვინ არის თემურ ალასანია

ამ პერსონის ოფიციალური დოსიე არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, Google-ის საძიებო სისტემაში მის ბიოგრაფიასაც ვერ იპოვით. სამაგიეროდ, უხვადაა ალასანიასთან დაკავშირებული პოლიტიკური ლეგენდები.

ასე, მაგალითად, 2014 წლის მარტში, ერთ-ერთი ქართული ინტერნეტ-პორტალი სააკაშვილის ბიძაზე ვრცელ სტატიას აქვეყნებს, რომელშიც ნათქვამია, რომ თემურ ალასანიას ზოგი იარაღით უკანონო ვაჭრობას უკავშირებს და ზოგიც – ზურაბ ჟვანიას დაღუპვას.

სტატიის თანახმადვე, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, თემურ ალასანია, თითქოს, რუსი გენერლის, ბორისოვის ავტოში შენიშნეს. ამავე სტატიაში ავტორს ირაკლი კაკაბაძის ციტატა მოჰყავს:

„ვიცი, რომ არსებობდა და არსებობს კონკრეტული მაფია, რომლის „ნათლიმამაც“ გახლავთ ბატონი თემურ ალასანია და ბატონი ერიკ გუდისი, რომელიც იარაღის გაყიდვით ძალიან დიდ ფულს აკეთებდა. ამ მაფიის წინააღმდეგ გამოვიდა ჩემი მეგობარი, ზურაბ ჟვანია. 2005 წლის იანვარში, იყო მუქარის ზარი ამ მაფიის ერთ-ერთი წევრისგან, კერძოდ, ერიკ გუდისისგან, რომელიც გახლავთ პუტინის დაახლოებული წრის წარმომადგენელი და მისი მუქარა ასე ჟღერდა, რომ მთავრობის ორი წევრი (ლაპარაკი იყო ზურაბ ჟვანიასა და კახა ბენდუქიძეზე), ერთი თვის მერე აღარ იქნებოდნენ იმ თანამდებობებზე, რომელზეც იყვნენ“.

ამონარიდი ინტერნეტგამოცემა For.ge-ს სტატიიდან, რომელიც 2014 წლის გაზაფხულით თარიღდება:

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის ხელმძღვანელი, მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსის, პეტრე მამრაძის თქმით, წლების წინ, თბილისში, თემურ ალასანიას ასაკის კაცები ხშირად ამბობდნენ, რომ ალასანიას „კა-გე-ბე“-ს თანამშრომლის სახელი ჰქონდა ჯერ კიდევ სკოლის უფროს კლასებში და შემდგომ პერიოდშიც. პეტრე მამრაძე იმასაც აცხადებს, რომ თემურ ალასანია, როგორც რუსეთის მოქალაქე, სწორედ რუსეთის კვოტით მოხვდა გაერო-ში და მუშობდა გაერო-ს სამხედრო შესყიდვებთან დაკავშირებულ სტრუქტურებში, მაღალ თამამდებობაზე. ვინც ერკვევა რუსულ სტრუქტურებში, მან კარგად იცის, რომ ამ თანამდებობაზე სამუშაოდ არ აგზავნიან ადამიანს, რომელიც არ არის „კა-გე-ბე“-ს ანუ ამჟამინდელი „ეფ-ეს-ბე“-ს სრული ნდობით აღჭურვილი პირი. პეტრე მამრაძისთვის ესიც ირიბი მტკიცებულებაა, რომ ალასანია მართლაც იყო და არის „კა-გე-ბე“-ს ოფიცერი.

ამასთან, მამრაძე ამბობს, რომ სწორედ თემურ ალასანია აქეზებდა სააკაშვილს და საზოგადოებაშიც ავრცელებდა ინფორმაციას, თითქოს, რუსეთთან მოლაპარაკება შედგა, თითქოს, ცხინვალსა თუ აფხაზეთთან დაკავშირებით, რუსეთი პრობლემებს აღარ შეგვიქმნიდა და მწვანე შუქი აინთო; ასევე, თურმე, მწვანე შუქია ანთებული აშშ-ის მხრიდან და შეიძლება, ოპერაცია ჩავატაროთ წარმატებულად და დავიკავოთ ჩვენი ტერიტორიები. სინამდვილეში, ყველამ იხილა, რითაც დაგვირგვინდა ეს ყველაფერი, 2008 წელს.

შესაბამისად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თემურ ალასანია არის „ეფ-ეს-ბე“-ს შეგნებული აგენტი, ხოლო სააკაშვილს იგი იყენებს, როგორც გავლენის აგენტს. მსგავს საერთაშორისო სტრუქტურებში არსებობს ტერმინი – „სასარგებლო იდიოტი“. ეს სალანძღავი სიტყვა არ არის. ამ ტერმინით სპეცსამსახურებში აღნიშნავენ ადამიანებს, რომლებიც იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ სპეცსამსახურის დავალებას ასრულებენ... გაიხსენეთ, ბიძამისს ყოველთვის ჰქონდა დიდი გავლენა მასზე, მაშინაც კი, როცა აგვისტოს ომის შემდეგ, პრესაში სკანდალი იყო, რაც სააკაშვილის იმიჯზე ცუდად მოქმედებდა, მან მაინც ღიად დანიშნა თემურ ალასანია გრიგოლ ვაშაძის მრჩევლად“, – აღნიშნავს პეტრე მამრაძე.

ექსპერტ ვახტანგ მაისაიას ინფორმაციით, თემურ ალასანია მართლაც იყო საბჭოთა კავშირის „კა-გე-ბე“-ს ოფიცერი, ერთი პერიოდი, საგარეო დაზვერვაშიც მუშაობდა. მისივე ინფორმაციით, თემურ ალასანია, აშშ-ში ერთ-ერთი ოპერაციის დროს, უბრალოდ, „დაიწვა“ და ამ გაშიფვრის შემდეგ ჩამოალაბორანტეს.

„ეს ფაქტები „ეფ-ეს-ბე“-ს არქივებში უნდა მოვიძიოთ, თუმცა ამ მასალებს ჩვენ არავინ მოგვცემს. შემთხვევითი არ იყო, რომ თემურ ალასანია მიხეილ სააკაშვილსაც ამზადებდა ამ მიმართულებით. სწორედ ამიტომ, „კა-გე-ბე“-ს განსაკუთრებული ტიპის სპეცდანიშნულების ჯგარებში მოაწყო თავისი დისშვილი, რადგან „კა-გე-ბე“-ს ჯგარებში აწყობენ მხოლოდ ყოფილი და მოქმედი „კა-გე-ბე“-ს თანამშრომლები. ეს არის პირდაპირი მტკიცებულება, რომ თემურ ალასანია საბჭოთა კავშირის სუკ-ის სტრუქტურებში მუშაობდა. 1993 წლიდან მოყოლებული, თემურ ალასანიამ შექმნა მიხეილ სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი. ამიტომ, გამოქვეყნდეს თემურ ალასანიას დეტალური ბიოგრაფია, თუ რას აკეთებდა იგი 70-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე და ყველაფერი გამოჩნდება“, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

საიდუმლო ბინა წყნეთში

ჩემს პირად ჟურნალისტურ არქივში არაერთი ინტერვიუ ინახება საქართველოს დაზვერვის ყოფილ მაღალჩინოსანთან, რომელიც საინტერესო მინიშნებებს აკეთებს:

„წყნეთში არსებობს აგარაკი და ერთ-ერთ გავლენიან ბიზნესმენს ეკუთვნის, რომელიც თემურ ალასანიასთან დაახლოებულია...

– ეს აგარაკი საინტერესო რატომაა?

– 2012 წლამდე, ამ აგარაკზე თემურ ალასანია შეხვედრებს მართავდა...

– იარაღის უკანონო ბიზნესზე?

– გამორიცხული არაფერია, თუმცა ეს პირველადი ინფორმაციაა, რომელიც არ დამიმუშავებია, თუ რა ტიპის შეხვედრები და ვისთან იმართებოდა...

თავის დროზე, ბელორუსის უშიშროების საბჭოს მდივანი შეიმანი გახლდათ, რომელიც ირაღით უკანონო ვაჭრობაში, თავიდან ფეხებამდეა გარეული. როგორც კი საქართველოში საერთაშორისო ტრანსნაციონალურ ჯგუფზე ხმამაღლა მსჯელობა დაიწყო, ლუკაშენკომ შეიმანი თანამდებობას მაშინვე ჩამოაშორა. არცთუ დიდი ხნის წინ, მინსკის გარეუბანში, შეიმანს მიხეილ სააკაშვილი და ბიძამისი, თემურ ალასანია შეხვდნენ და ამ შეხვედრის მოწმეებიც არსებობენ...

ერთი სიტყვით, ლუკაშენკოს ერთი მიზანი აქვს – როგორმე, სიტუაციიდან გამოძვრეს ანუ ზემოხსენებული განცხადებით მიანიშნებს, მეც და მიშაც რუსეთთან დაახლოებულები ვართო. სხვათა შორის, საქართველოდან გაქცეული ყველა ოდიოზური ფიგურა თავს ბელორუსს აფარებს – მინსკში ცხოვრობს.

– მაგალითად?

– იგორ გიორგაძე...

– საქართველოდან გაქცეული „ნაციონალებიც“ ბელორუსში არიან?

– ამაზე რა გითხრათ, მაგრამ ზოგიერთ „ნაციონალს“, მაგალითად, გივი თარგამაძეს ბელორუსში ხშირი მიმოსვლა ჰქონდა...

მოკლედ, ლუკაშენკო ამბობს, მიშა ჩემი მეგობარიაო, ესე იგი, მიშა რუსული პროექტია ანუ ლუკაშენკომ რამდენიც უნდა ამტკიცოს, დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა ვარო, სინამდვილეში, ასე არაა და ბელორუსის პრეზიდენტი იმდენ ხანს იქნება, რამდენ ხანსაც საჭიროდ პუტინი ჩათვლის და სკამიდან მაშინ გადმოაგდებს, როცა მოინდომებს.

სხვათა შორის, ჩემი ინფორმაციით, დიდი ხანია, აშშ-ის სპეცსამსახურები თემურ ალასანიას აკვირდებიან.

– რატომ?

– იმიტომ, რომ იარაღით უკანონო ვაჭრობაშია შემჩნეული.

დასასრული მე-4 გვერდზე

საიდუმლო ბინა წყნეთში – ვის მხილებას აპირებს თემურ ალასანია

მე-2 გვერდიდან

– სპეცსამსახურის ენაზე, „დაკვირვება“ იმას ნიშნავს, რომ ალასანია შინაპატიმრობაშია და გადაადგილება შეზღუდული აქვს?

– არა. თემურ ალასანიაზე ამერიკულ სპეცსამსახურებს, ჩემი ინფორმაციით, ოპერატიული მეთვალყურეობა აქვთ დაწესებული!“

ვიზიტი საფრანგეთში

„თემურ ალასანია საფრანგეთში საიდუმლოდ მიავლინეს“, – ასე ჰქვია სტატიას, რომელიც ქართულ ინტერნეტ-პორტალ For.ge-ზე, 2012 წლის მაისშია გამოქვეყნებული. გამოცემა იმხანად, რადიო „ფრანსის“ ჟურნალისტ გიორგი ფოფხაძეზე დაყრდნობით, წერდა, რომ იარაღის, შეიარაღებისა და უახლესი სამხედრო ტექნოლოგიების ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენაზე, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ბიძა, თემურ ალასანია საქართველოს სახელით იმყოფებოდა და გარკვეული ტიპის იარაღის შეძენა სურდა. სხვათა შორის, იმხანად, ალასანია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველად მუშაობდა. ამონარიდი სტატიიდან:

„ამ გამოფენაზე წარმოდგენილნი არიან მსოფლიოში იარაღის უმსხვილესი მწარმოებელი ფირმები, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები და იარაღის მწარმოებელი ქვეყნები. მოგეხსენებათ, იარაღის ლეგალური ბიზნესის თვალსაზრისით, საფრანგეთი ერთ-ერთი პირველთაგანია და თუ არ ვცდები, იგი ამ მხრივ. მხოლოდ ამერიკა-რუსეთს ჩამოუვარდება. „ევროსტატორიც“ საფრანგეთში იმიტომ იმართება, რომ იგი იარაღის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყანაა“, – ამბობს ფოფხაძე.

მისი თქმით, ამ გამოფენაზე შეიარაღების სფეროში უმსვილესი კონტრაქტები ფორმდება. ჟურნალისტი იხსენებს, რომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან მოყოლებული, ამ გამოფენაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ყოველთვის იყო ხოლმე წარმოდგენილი. ამიტომ, გიორგი ფოფხაძეს გაუკვირდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან ღონისძიებაზე არავინ იყო მივლენილი. მოგვიანებით კი მან ისიც გაარკვია, რომ ამ გამოფენაზე საქართველოს წარმოადგენდა პრეზიდენტის ბიძა, თემურ ალასანია.

„ჩემი კონტაქტების საშუალებით, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ამ გამოფენაზე წარმოადგენდა, არც მეტი, არც ნაკლები სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია. რა თქმა უნდა, მაშინვე გამიჩნდა კითხვა – რა უნდოდა იქ თემურ ალასანიას? მოგეხსენებათ, იგი ოფიციალურად არის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი. ამ გამოფენაზე კი, წესით, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი. აქვე აღვნიშნავ, რომ რეესტრში, სადაც გამოფენაში მონაწილეთა ვინაობაა დაფიქსირებული, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან არავინ იყო წარმოდგენილი“, – აღნიშნავს ჟურნალისტი.

გიორგი ფოფხაძე სკანდალურს უწოდებს იმ ფაქტს, რომ ამგვარ გამოფენაზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ნაცვლად, მივლენილი იყო პრეზიდენტის ბიძა, რომელსაც შესაბამისი უფლება-მოსილება არ აქვს.

„თუ თემურ ალასანია რომელიმე სხვა თანამდებობაზე დანიშნეს და ჩვენ ეს არ ვიცით, თავისთავად, ესეც სკანდალია, რადგან თუკი ქვეყანას პრეტენზია აქვს დემოკრატიულობაზე, მაშინ ამგვარ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ადამიანების დანიშვნა გასაიდუმლოებული არ უნდა იყოს“, – ამბობს გიორგი ფოფხაძე.

მოგვიანებით, ფოფხაძემ გაარკვია, ოფიციალურად რა მოტივით იყო გამოფენაზე ალასანია ჩასული. ფოფხაძის თქმით, ოფიციალური ვერსიით, პრეზიდენტის ბიძა იქ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიტინგებისა და მანიფესტაციების დასაშლელი თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძენად იყო მივლენილი. თავად ამ მოწყობილობების შესყიდვაში უცნაურს გიორგი ფოფხაძე ვერაფერს ხედავს, რადგან ტექნოლოგიები ვითარდება და უკვე არსებობს ისეთი იარაღები, რომლებიც მიტინგების დასაშლელად უფრო ეფექტიანია, მაგრამ მომიტინგეებს დაზიანებებს არ აყენებს. ამის მიუხედავად, ჟურნალისტს უჩნდება სავსებით სამართლიანი კითხვა, თუკი ამგვარი მოწყობილობები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სჭირდება, მაშინ გამოფენაზე რატომ იყო ამისთვის მივლენილი თემურ ალასანია და არა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი?

„გამოდის, რომ თემურ ალასანია საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველია და ამავდროულად, შინაგან საქმეთა, ასევე, თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენელიცაა. ამდენად, იგი სამ თანამდებობას ითავსებს და სამ უმნიშვნელოვანეს უწყებას წარმოადგენს. თუმცა, ამის გარდა, აქ კიდევ ერთი სკანდალია. კერძოდ, არაოფიციალურად, ჩემთვის, ჩემი წყაროებიდან (ეს დადასტურებული ინფორმაციაა) ცნობილი გახდა, რომ თემურ ალასანია იქ ცდილობდა კონტაქტი დაემყარებინა იმ ფირმებთან, რომლებიც რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარებით არიან დაკავებულები.

ყველაფერი ეს კი უცნაურად დაემთხვა დროში, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო ანტისარაკეტო სისტემის შექმნაში დაეხმარება. როგორც ჩანს, ალასანია იმისთვის იყო ჩამოსული საფრანგეთში, რომ თუკი ვთქვათ, ამერიკელები ქართულ მხარეს ხუთ ამგვარ დანადგარს მისცემენ, დამატებით კიდევ ხუთს, ალბათ, თვითონ შეიძენს და ეს უკვე სკანდალია“, – აცხადებს გიორგი ფოფხაძე, რომელიც სვამს კითხვას – თუკი საქართველოს ხელისუფლება აპირებს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნას, მაშინ, რატომ აგზავნის ამისთვის თემურ ალასანიას, რომელიც საამისოდ უფლებამოსილი არ არის და ამასთანავე, რატომ ხდება ყველაფერი ეს შენიღბულად, რატომ არ არის ეს პროცესი ქართული საზოგადოებისთვის ღია და რატომ ხდება ამ საკითხის შენიღბვა მიტინგების დასაშლელი მოწყობილობებით?

ამასთან დაკავშირებით, თავად გიორგი ფოფხაძეს ორი ვერსია აქვს. პირველი ვერსიის თანახმად, სააკაშვილს სურს ვიღაცას აჩვენოს, რომ მის ქვეყანას კარგი შეიარაღება აქვს.

„როგორც ჩანს, სააკაშვილს უნდა, ვიღაცას აჩვენოს, – აი. მე უკვე სერიოზული შეიარაღება მაქვს და ის ბიჭი აღარ ვარ, რომ თითი მიქნიოთო. მეორე ვარიანტი, რაც მე ძალიან მაეჭვებს (ამ ვერსიის უტყუარობაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ ვარაუდის დონეზე, ამასაც ვფიქრობ), არის შემდეგი – რამდენადაც თემურ ალასანია მსოფლიოს წამყვანმა მედიასაშუალებებმა არაერთხელ მოიხსენიეს ადამიანად, რომელიც იარაღის არალეგალურ ვაჭრობასთან ასოცორდება, ხომ არ ვართ იმ ფაქტის წინაშე, რომ საქართველო იარაღის არალეგალური ვაჭრობის გამტარი ქვეყანაა? შესაძლებელია ამ გამოფენაზე გაფორმდეს რაღაც კონტრაქტი, გარკვეული იარაღი შევისყიდოთ, რომლის ბაზირებაც საქართველოში კი არ ხდება, არამედ, შემდეგ მიდის რომელიმე მესამე ქვეყანაში და ამ პროცესის გაკონტროლება ძალიან ძნელია.

ნათქვამია, ქურდმა ერთი ცოდვა ჩაიდინა და დამბრალებელმა ათიო. ამიტომ, რა თქმა უნდა, ამგვარი რამის მტკიცება ცოტა ძნელია, მაგრამ თუკი ქართულ პოლიციას აქვს უფლება „საფუძვლიანი ეჭვი“ ჰქონდეს, რატომ არ მაქვს იგივე უფლება მე, ჟურნალისტს, როდესაც ალასანიას სახელი იარაღის არალეგალურ ვაჭრობასთან დაკავშირებით, არაერთხელ იყო ნახსენები?“ – ამბობს გიორგი ფოფხაძე.

გიორგი ფოფხაძის მონათხრობთან დაკავშირებით, For.ge სამხედრო ექსპერტ გიორგი მელითაურს ესაუბრა. მელითაურის განცხადებით, თავად ინფორმაცია იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მასზე მსჯელობა ცოტა რთულია, თუმცა იგი დამაფიქრებელს უწოდებს იმ ფაქტს, რომ იარაღის გამოფენაზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, თემურ ალასანია იყო მივლინებული. გიორგი მელითაურის თქმით, როგორც წესი, ამგვარ ღონისძიებებზე მიდის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ან სხვა უწყების ისეთი წარმომადგენელი, რომელსაც სპეციალური ცოდნა გააჩნია. ეს შეიძლება იყო სამხედრო ან სამოქალაქო პირი, მაგრამ მას სპეციფიკური ცოდნა უნდა ჰქონდეს, რადგან ამგვარ გამოფენაზე გარდა თოფისა და ავტომატისა, წარმოდგენილია უამრავი საქონელი, რომელსაც სამხედრო, ან ორმაგი დანიშნულება აქვს. ეს ნიშნავს, რომ გამოიყენება სამხედრო მრეწველობაში, მაგრამ პირდაპირ იარაღის დანიშნულება არ აქვს. მაგალითად, ლაზერული, ოპტიკური ან სხვა ასეთი ტიპის მოწყობილობები, რომლებიც სამხედრო ტექნიკის შესაქმნელად გამოიყენება.

„თუკი ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ სამხედრო–სამრეწველო კომპლექსი შევქმნათ, ყველა წამყვანი ფიგურა დაკავებული უნდა იყოს იმით, რომ შესწავლილ იქნას ბაზარი ანუ სად, რა და როგორ შეიძლება შევიძინოთ“, – ამბობს გიორგი მელითაური და აქვე განმარტავს, რომ თუკი ალასანია მართლაც ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების შესაძენად იყო გამოფენაზე ჩასული, მაშინ, იგი კარგი საქმით არის დაკავებული, რადგან საქართველოს ეს მოწყობილობა ნამდვილად სჭირდება და რაც უფრო მალე მივაგნებთ ადგილს, სადაც ამის კარგი პირობებით შეძენა შეიძლება, მით უკეთესი.

„შეიძლება ითქვას, რომ მოწოდებული ინფორმაცია ორმაგ განწყობას ქმნის. ჩემი აზრით, უფრო შემაშფოთებელია, თუკი პოლიციისთვის მიტინგების დასაშლელი მოწყობილობების ძებნა ასეთ დონეზე ხდება, ვიდრე ის, რომ დავუშვათ, ალასანია, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, სამხედრო ბაზარს შეისწავლის. ვინაიდან საქართველო ამ გამოფენაზე წარმოდგენილი არ არის და ამ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ ვსწავლობთ ამ ბაზარს, მიმაჩნია, რომ ამ გამოფენაზე თემურ ალასანია იქნება, ბაჩო ახალაია, თუ ვინმე სხვა, ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს“, – აცხადებს მელითაური.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ზემოთქმული მოწმობს, რომ მიხეილ სააკაშვილის ბიძა, ერთგვარად, „რუხი კარდინალია“, რომლის ბიოგრაფიაში ბევრი შავ-ბნელი ლაქაა. ისე, რამდენიმე წლის წინ, როცა ამის თაობაზე პოლიტიკოსებმა საუბარი ღიად დაიწყეს, ალასანიამ განაცხადა, პატივისა და ღირსების შელახვისთვის სასამართლოს მივმართავო, მაგრამ როგორც მერე აღმოჩნდა, თემურ ალასანიამ საკუთარი ღირსების დაცვა გაფაიფიქრა. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ არ უნდოდა, საკუთარი X-ფაილები გაესაჯაროვებინა.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„სააკაშვილის თემას ფართო საპროტესტო მასშტაბების შეძენა არ შეუძლია“

ვინ უღალატა ექსპრეზიდენტს – არჩილ გამზარდიას მოსაზრებები და ანალიზი

28-29 იანვარს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები პარტიის თავმჯდომარეს აირჩევენ. ყველაზე მრავალამომრჩევლიანი ოპოზიციური პარტიის ლიდერობისთვის მოქმედი თავმჯდომარე ნიკა მელია, ლევან ხაბეიშვილი და გიორგი მუმლაძე იბრძვიან.

ნიკა მელიას საკუთარი პარტიის მხარდამჭერთა ნაწილი მოქმედების სტრატეგიას უწუნებს და პოლიტიკურ პასიურობაში ადანაშაულებს. ენმ-ის მხარდამჭერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ნებსით თუ უნებლიედ, მელია მიხეილ სააკაშვილს პატიმრობისთვის სწირავს და მის გასათავისუფლებლად არაფერს აკეთებს. სამაგიეროდ, სააკაშვილის გათავისუფლების თემას პრიორიტეტულად ასახელებს ლევან ხაბეიშვილი, რომლის უკანაც, კულუარული ინფორმაციით, მერაბიშვილ-კეზერაშვილი მოიაზრებიან. სხვათა შორის, არსებობს ვარაუდი, რომ ეს ძალა, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილის თემას ფასადად იყენებს და სინამდვილეში, მესამე პრეზიდენტის პოლიტიკიდან დისტანცირებას ცდილობს.

ისე, თუ ნიკა მელიას პოლიტიკურ შეცდომებზე მიდგა საუბარი, აქვე, ლევან ხაბეიშვილის უახლეს წარსულში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებებიც გასახსენებელია. ასე, მაგალითად, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ხაბეიშვილმა, მოულოდნელად, გიორგი ვაშაძის პარტია დატოვა და ენმ-ის კანდიდატის, ზაალ უდუმაშვილის შტაბში გადაპორტირდა – ეს მაშინ, როცა ვაშაძე – „ჯუნიორიც“ თბილისის მერობისთვის იბრძოდა. გამოვიდა, რომ ლევან ხაბეიშვილმა საკუთარი პარტიის ლიდერი არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე დატოვა და კონკურენტის შტაბს შეუერთდა. ეს ფაქტი, შესაძლოა, ბევრს არაფერს წყვეტს, მაგრამ თუ პოლიტიკოსები კრიტიკულ მომენტში მიღებული გადაწყვეტილებით ფასდებიან, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას... ასეა თუ ისე, პარტიამ საკუთარი ფავორიტი კანდიდატები დაასახელა და ახალ ლიდერს იანვრის ბოლოს გამოავლენს... ენმ-ში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ვერსია“ ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას ესაუბრა.

– არჩილ, ბოლო დროს აქტუალურია კითხვა – ვინ უღალატა მიხეილ სააკაშვილს და ვინ აძლევდა საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში გარანტიებს მესამე პრეზიდენტს?.. როგორ ფიქრობთ, ვისზეა საუბარი?

– არ ვიცი, რამდენად სწორად ვარჩევთ ხოლმე ტერმინებს და „ღალატი“ რა მნიშვნელობას იძენს ამ შემთხვევაში. თუ ჰიპოთეზად მოიაზრება ის, რომ მიხეილ სააკაშვილს შესთავაზეს საკმარისი პირობები, რომ მისი ჩამოსვლა ცოტა სხვანაირად რეალიზდებოდა და შემდეგ ასე არ მოხდა, არ ვიცი, ეს რამდენადაა ღალატი, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას მიხეილ სააკაშვილი იღებდა. ის პრეზიდენტად ორჯერ არის არჩეული და შესაბამისად, უამრავი იდეა ექნებოდა მოსმენილი თავისი საქმიანობის მანძილზე, თუმცა, ალბათ, ყველას არ იღებდა ხოლმე. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მან მიიღო, რომ ჩამოსულიყო საქართველოში. კულუარული ინფორმაციით, თავის დროზე, იმაზეც იყო საუბარი, რომ წამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატებს შეხვდა და მათ რეკომენდაცია არ მისცეს საქართველოში დაბრუნებაზე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მაინც მიიღო. ასე რომ, ჩემთვის ცოტა გაუგებარია ტერმინ „ღალატის“ გამოყენება. ეს, ალბათ, მისი გარემოცვის ტერმინი შეიძლება იყოს, რადგან გარედან ყველაფერ ამას, მსგავს კვალიფიკაციას ვერ მივცემთ. ვისთანაც უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მათზე დაყრდნობით მიიღო, ალბათ, ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მისია.

– როგორ ფიქრობთ, „ღალატის თემა“ ხომ არ არის ნიკა მელიას წინააღმდეგ აგორებული „შავი პიარის“ მცდელობა შიდაპარტიული არჩევნების წინ?

– რამდენადაც ვიცი, ნიკა მელია წინააღმდეგი იყო სააკაშვილის ჩამოსვლის და სანამ ჩამოვიდოდა, მისთვის ცხადიც არ იყო, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა სააკაშვილი. ამიტომ, ამ კუთხით საკითხის მელიაზე გადატანის მცდელობა ჩემთვის გაუგებარია, რადგან თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლა დაუკავშირეს გარკვეულ ეჭვიანობასაც კი მელიას მიმართ იმიტომ, რომ მელიას რეიტინგი იმ პერიოდში იზრდებოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლა ნაციონალური მოძრაობა განსხვავებულია, ვიდრე მთელი რიგი სხვა პარტიები, სადაც დამფუძნებელი არ არის მოქმედი თავმჯდომარე და მმართველი. ნიკა მელიას ფაქტორი განსხვავებულია, სააკაშვილსგან განსხვვებით, ის არ არის პარტიის შემქმნელი და პირიქით, იმ პერიოდში, მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლა ამასაც უკავშირდებოდა, რომ პარტია მელიაზე არ ფოკუსირებულიყო.

– თქვენი აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილება რა როლს ითამაშებს პროცესების განვითარებაში?

– სასამართლოსგან რამე განსხვავებულ გადაწყვეტილებას არ უნდა ველოდოთ ამ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ იმ ადამიანების რიგში ვარ, ვინც ფიქრობს, უმჯობესი იქნება მისი გადაყვანა, რამე ფორმით. ზოგადად, მომხრე ვარ, ეს თემა რაღაცნაირად დასრულდეს და ქვეყანამ წინ გაიხედოს, უკან ქექვის ნაცვლად. წეღან ახსენეთ პოლიტიკური პროცესების კავშირი ამ გადაწყვეტილებებთან და არ მგონია, რომ პოლიტიკური მოვლენების შემქმნელი იყოს ეს გადაწყვეტილება, სააკაშვილის პატიმრობაში დარჩენასთან დაკავშირებით.

– ესე იგი, ფართომასშტაბიანი აქციების დაწყებას და პროცესის გამწვავებას არ პროგნოზირებთ?

– აქციები არის ხოლმე წვრილი, წერტილოვანი ღონისძიებების სახით და არ არის რესურსი, რომ ფართომასშტაბიან კამპანიაში გადაიზარდოს. ასეთი წერტილოვანი ღონისძიებების ჩაქრობა კი „ქართულ ოცნებას“ კარგად შეუძლია და წლებია, ამას მარტივად ახერხებს. ამიტომ, ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილის თემას არ შეუძლია ფართო საპროტესტო მასშტაბების შეძენა ამ ეტაპზე, რადგან ვხედავთ, თუნდაც, სასამართლოს ეზოში თავმოყრის თვალსაზრისით, საკმაოდ მოკრძალებული მხარდაჭერა ჩანს.

ასე რომ, ეს არის თემა, რომელიც ხელისუფლებას აწყობს, რადგან საზოგადოების ყურადღება გადატანილია ამ საკითხზე მაშინ, როცა მნიშვნელოვანი თემები ყურადღების მიღმაა დარჩენილი.

– ბევრი ნიკა მელიას იმაში ადანაშაულებს, რომ სააკაშვილის მხარდამჭერი აქციები არ ტარდება და საკმარისი არ კეთდება პარტიის მხრიდან. მელიას პასუხისმგებლობას ამ მხრივ თქვენც ხედავთ?

– როგორ შეიძლება, მასშტაბურ აქციებს პარტიის ლიდერმა ხელი შეუშალოს?

– და თუ ხალხის მობილიზებას არ ცდილობს?

– თუ არ არის საკმარისი რესურსი, რომ ხალხი გამოიყვანონ... ამ პერსპექტივას ვერ ვხედავ ვერც ერთ შემთხვევაში. ცალკეული პირები, ვინც მელიას ამაში ადანაშაულებენ, გაუგებარ ფუნქციას იღებენ ხოლმე თავისი რიტორიკით, რადგან ჰაერზე ლაპარაკი საკმაოდ იოლია. არც ერთ მათგანს არაფერი უშლიდა ხელს, რომ თავად ეწარმოებინა მასშტაბური აქციები.

– საარჩევნოდ კანდიდატების შანსებს როგორ აფასებთ?

– ხაბეიშვილი უფრო ხისტი ქმედებების მომხრეა და რამდენადმე იმეორებს სააკაშვილისეულ ხერხებს. ნიკა მელია უფრო ცდილობდა პარტიის რებრენდინგს, რის მერეც დააკავეს და ბევრი რამ მოხდა... უშუალოდ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ვინ სურთ ლიდერად, გარედან ამის განსაზღვრა გაგვიჭირდება, მაგრამ ვფიქრობ, თავის დროზე, მელიამ სწორად დაინახა ამოცანა, რომ ნაციონალურ მოძრაობას სხვა კუთხითაც უნდა შეეთავაზებინა თავი ამომრჩევლისთვის. ნაციონალური მოძრაობა ან არ უნდა იბრძოდეს ხელისუფლებისთვის და ჩაჯდეს, როგორც ლიდერი ოპოზიციური პარტია, ან სხვა ხერხები უნდა ეძებნა იმისთვის, რომ რაღაც ეტაპზე, ძალაუფლებაში მონაწილეობისთვის მაინც ემუშავა, თუმცა, ზოგადად, პოლიტიკური მოვლენები ახლა იმდენად სხვაგანაა წასული, რომ თამაშგარე მდგომარეობაშია რიტორიკა და სტრატეგიები, რაც ოპოზიციას აქვს.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ამას ჰქვია ღალატი!“

სკანდალური ინტერვიუ თაკო ჩარკვიანთან

დღეს, 14 დეკემბერს, სასამართლო საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების შესახებ იმსჯელებს და არის მოლოდინი, რომ ეს გადაწყვეტილება დიდ როლს ითამაშებს პოლიტიკური პროცესების განვითარებაში ანუ იგულისხმება ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში დაგეგმილი პარტიული არჩევნები, სადაც 28-29 იანვარს, ახალი თავმჯდომარე მხარდამჭერებმა „ბლოკჩეინის“ მეშვეობით უნდა გამოავლინონ. არჩევნებში სამი კანდიდატი მონაწილეობს – მოქმედი თავმჯდომარე ნიკა მელია, ლევან ხაბეიშვილი და გიორგი მუმლაძე.

ყველაზე მრავალამომრჩევლიან ოპოზიციურ პარტიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, „ვერსია“ პარტია კანონი და სამართლის ლიდერს, დამოუკიდებელ დეპუტატ თაკო ჩარკვიანს ესაუბრა, რომელიც დაგეგმილ არჩევნებში ნიკა მელიას, რბილად რომ ვთქვათ, ნამდვილად არ გულშემატკივრობს:

– ხედავთ, რომ საკმაოდ დიდი წვლილი მიმიძღვის ამ პროცესში, რადგან კრიტიკით გამოვდიოდი პარტიის თავმჯდომარის მიმართ. ვიხუმრე კიდეც, სულ ცოტა ის მომწონს, რომ იქნებ, ერთმანეთის ჯინაზე, მოძრაობა დაიწყონ-მეთქი და ასეც მოხდა. ფაქტია, მოძრაობა დაწყებულია, ეს ის არ არის, რაც უნდა იყოს, მაგრამ სულ არაფერს მაინც სჯობს. შეიძლება, თქვან, რა ინტერესი უნდა მქონდეს... რა ინტერესიც მქონდა 2018 წელს. რამდენიმე ტუტუცმა ისიც თქვა, ჩვენი პარტიის საქმეებში ნუ ერევაო... მე და ბევრ ჩემნაირს ასე რომ გვეფიქრა, 2018 წელს, დასუსტებულ, შუაზეგახლეჩილ და რეიტინგით შესუსტებულ ნაციონალურ მოძრაობას გვერდით არ დავუდგებოდით, მაგრამ სახელმწიფოებრივად ვიაზროვნეთ. რატომ? – რომ მდომოდა, ამ პარტიის წევრი გავხდებოდი და მაშინ საპარლამენტო სიაზეც კი უარი ვთქვი. ვგულისხმობ, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდს, როცა გრიგოლ ვაშაძე, მე და პაატა ბურჭულაძემ წარვადგინეთ, ბევრი ჩემნაირის წვლილი იყო იქ და 400 000-დან 900 000 ხმამდე გაიზარდა მაშინ ოპოზიციის წარმატება. ახლა მშრალად კი არა, ფაქტებით ვსაუბრობ და მაშინ იფიქრა ივანიშვილმა, რომ ოპოზიცია არსებობს ამ ქალაქში.

ამ ბიჭის, ენმ-ს თავმჯდომარის ხელში კი რეიტინგი გამეოთხედდა, რაც კვლევებით დასტურდება. მოძრაობა არ არის, ლიდერი ციხეში კვდება და ეს პიპინ-პიპინით დადიოდა... მერე დავიწყეთ ინფორმაციის მოძიება. არ მიყვარს ხოლმე წინსწრებით რამეს თქმა მედიით, რაც არასწორი მგონია მორალური და იურიდიული თვალსაზრისით, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი ეჭვები ფაქტებად დალაგდა. არცთუ უნებლიე და ბრიყვული მოძრაობები ჰქონდა ნიკა მელიას. შეიძლება, თავიდან ბრიყვული იყო, მაგრამ შემდეგ დალაგდა ძალიან ანგარებიანად, იმიტომაც დაიძინა პროცესმა. როცა ამბობენ, ჩვენი პარტიის საქმეში ნუ ერევითო, რუსეთ-საქართველოს ომია და პოლიტიკაში მხოლოდ ამიტომ შემოვედი, რომ დასუსტებული იყო და არ მინდოდა, კიდევ უფრო შესუსტებულიყო დასავლური ვექტორის მქონე მსხვილი პარტია, თორემ მათი შეცდომები კი არ მავიწყდება! უკაცრავად, მე არაფერი მავიწყდება. ვბრაზდები იმაზე, რომ სამარცხვინო სისტემა იყო, მაგრამ სახელმწიფო მქონდა სააკაშვილის დროს. ახლა კი სისტემაში, საქმეებზე ხელის მომწერი მურუსიძე დააწინაურეს და სახელმწიფო აღარ მაქვს! ამიტომ დავიწყე საუბარი, რომ ენმ-ს მოძრაობა უნდა დაეწყო.

2021 წლის 10 ოქტომბრის აქცია ჩაგვიშალა მელიამ, მესიჯებს აგზავნიდა, ეს აქცია ჩვენი არ არის, მიშას არ აწყობსო და პარტიის ამომრჩეველი ჩვენ დაგვიჯერებდა, თუ პარტიის თავმჯდომარეს?! ამიტომ ჩაიშალა 10 ოქტომბრის აქცია და ზუსტად იმ დღეს დანიშნა აქცია ზუგდიდში. მაშინ მივხვდით, რომ ძალიან შეგნებულად აკეთებდა ყველაფერ ამას. მაშინ გავჩუმდი და გავაგრძელე პირუთვნელი მუშაობა უცხოელებთან, რადგან მივხვდი, რომ დიდ ღალატთან გვაქვს საქმე. ადგილობრივ არჩევნებში უკვე ხელის გულზე დაიდო ყველაფერი...

– რას გულისხმობთ?

– თუ შეამჩნიეთ, ადგილობრივ არჩევნებში, ფაქტობრივად, მონაწილეობა არ მიიღო ჩვენმა პარტიამ. მხოლოდ წალკაში წარვადგინეთ კანდიდატი, რადგან კვალიფიციური სტატუსის მქონე პარტია გვაქვს და არ შეიძლებოდა, რომ საერთოდ არ მიგვეღო მონაწილეობა. მაშინ უკვე ვხედავდი, რაც ხდებოდა. ძალიან არ მიყვარს ასეთი ბინძური გარიგებები, ასეთ გარიგებებში ნაციონალური მოძრაობისგან მხოლოდ სახელი დარჩება და ჩვეულებრივად გაიყიდება სიის დიდი ნაწილი, რაც არის ჩაფიქრებული, რომელსაც „დაითრევს“ რომელიღაც მდიდარი ოლიგარქი და ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გააკეთებს ამას. არ მიყვარს ტყუილები, პარტიას მერე ლელო არ ერქმევა, თუ კიდევ რაღაც სხვისი... ამომრჩეველი როცა გადაწყვეტილებას იღებს, უნდა იცოდეს, ხმას ვის აძლევს, რომელ პარტიას.

– იმას გულისხმობთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ენმ-ის სია გაიყიდა და ამაში ნიკა მელია იყო ჩართული?

– ადგილობრივ არჩევნებში ზოგმა მცირე პარტიამ „დააგემოვნა“, რომ ძალიან კარგია, როცა ამოეფარები დიდ პარტიას, რადგან თავად ვერ აგროვებს ხმებს. ნაციონალურ მოძრაობას კი გაუნახევრდა, მაგრამ მაინც ჰყავს ამომრჩეველი. ამიტომ დაიწყეს ნადირობა ამ პარტიის ამომრჩეველზე, რაც არ გამოუვიდათ, რადგან ენმ-ს ძალიან ჭკვიანი ამომრჩეველი ჰყავს, თუმცა როცა ამომრჩეველს მოატყუებ და ნაციონალური მოძრაობიდან მარტო სახელს დატოვებ, სია კი სხვა პარტიის აღმოჩნდება, ეს პარტია ვისი იქნება?

– და ამ პროცესში მელია ჩართული იყო?

– რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით, გარიგებაში. ისე გავალ პოლიტიკიდან, რომ ჩემგან სიმართლის გარდა, ვერაფერს გაიგებთ, ძალიან მებინძურება ყველაფერი ეს, თორემ, როგორმე მოვახერხებდი პოლიტიკაში „გაკვეტებას“, ყოველთვის მქონდა ამის საშუალება, მაგრამ ეს არასდროს გამიკეთებია.

დიდ პატივს ვცემ დასავლური ვექტორის მქონე ამომრჩეველს, ძალიან მაგარი ამომრჩეველი ჰყავს ნაციონალურ მოძრაობას და ამ ხალხის მოტყუება არ შეიძლება, ამიტომ რა ინფორმაციაც მქონდა, ვთქვი... ამაზე გაგიჟდა, ახტა-დახტა და გადაირია, რაც ნაკლებად მაინტერესებს.

ახლაც გასარკვევია ამ „ბლოკჩეინის“ თემის უკან ვინ დგას. ცოტა ხანში, ამ ინფორმაციასაც მივაწვდით საზოგადოებას.

– ნიკა მელიას იდეა იყო, რომ ამ წესით ჩატარებულიყო პარტიული არჩევნები, რაზეც პოლიტსაბჭო დათანხმდა...

– დიახ და არ არის ცუდი, თუ არჩევნები წესიერებით ჩატარდება, ამიტომ წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, ეს მართლაც მათი საქმეა და რაც უნდათ, ის ქნან. მე რაც ვიცოდი, ის ვთქვი, რომ დიდი ხანია, გარიგების თემა მიდიოდა და პრაქტიკულად, გაწირა საქართველოს პრეზიდენტი ზოგიერთმა „გამრიგებელმა“.

ხალხს მობილიზება სჭირდება, 40 თეთრი არ აქვს ხალხს რეგიონებში და სად არის ამხელა ფინანსები პარტიის?! ნახეთ, რამხელა ფინანსები ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას. ახლა ხომ ვეღარ იტყვის ნიკა მელია, მიხეილ სააკაშვილს არ აწყობს აქციებიო, როცა გიული ალასანია გამოვიდა და ხალხს მიმართა, გვერდით დამიდექითო. რატომ გახადა სასაცილოდ და ივანიშვილის მომხრეების დასაცინად სასამართლოს ეზო?! ეს კითხვები ხომ არსებობს?!

– ახლა აქტუალური კითხვა მუსირებს მედიით – ვინ უღალატა მიხეილ სააკაშვილს და ვინ ჩამოიყვანა მოტყუებით საქართველოში? ოჯახი ამბობს, რომ კონკრეტული გვარი იცის, მაგრამ სააკაშვილის ნაცვლად, მის დასახელებას არ აპირებს...

– დაახლოებით, სავარაუდოდ, ჩვენც ვიცით, მაგრამ თავს უფლებას არ მივცემ, ამაზე ვისაუბრო. ფაქტია, რომ ახლო გარემოცვაზეა საუბარი, რომელიც კიევში ხშირად იმყოფებოდა მის გვერდით, თუმცა ბევრჯერ მითქვამს, რომ მიშა გამჭრიახი პოლიტიკოსია და საინტერესო ნაბიჯი გადადგა, ძალიან ვაჟკაცური. რა, არ იცოდა მიშამ, რომ რუსეთზე მომუშავე ხელისუფლებაა? – კარგად იცოდა, მაგრამ ისტორიულად ძალიან მასშტაბური სვლა იყო მისგან, რაც ჯანმრთელობის მხრივ, ძალიან ძვირად დაუჯდა. ღალატი – რა თქმა უნდა, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. მაგალითად, 10 ოქტომბერს, ჩემს აქციაზე რომ უნდა მოსულიყვნენ, ეს ხომ ერთი ელექტორატია და სწორედ ეს ადამიანები გააჩერა ნიკა მელიამ. ეს ის ელექტორატია, რომელიც ზუგდიდის აქციაზე მიიწვია. რაც შეეხება მიშას თემას და ღალატს, უკრაინაში რომ დადიოდნენ წამდაუწუმ და 24 საათი იქ ესხდნენ, მათ უნდა ვკითხოთ.

– თქვენ მიმართაც არაერთ საკითხზე ისმის კრიტიკა. საქილიკო გახდა თქვენი ფრაზა, რუსთაველი უნდა გადავავსოთო, როცა სააკაშვილის მხარდამჭერ აქციებს აანონსებდით. ახლა იმას ამბობთ, რომ ამ მასშტაბური აქციების გამართვაში ხელი მელიამ შეგიშალათ?

– დიახ, ეს პირდაპირ ვუთხარი და მიპასუხა, მიშაზე უფრო მაგარი „მიშისტები“ ნუ იქნებითო. კაცი კვდება და თუ ამბობდა მელია, რომ რუსეთის ციხეა, მაშინ იმას როგორღა ამბობდა, მოიცდისო?! ამიტომ გავაკეთეთ ოფისი, მიხეილ სააკაშვილის პლაკატებით „დავბრენდეთ“ ოთხი დიდი ვიტრაჟი, მივიტანეთ სცენა, ეკრანი, გვქონდა დიდი აქტივობები და ისტერია მოაწყო! ბოლოს, მესიჯებს უგზავნიდა ხალხს, არ არის ეს ჩვენი აქცია, ჩვენი 14-შიაო, წარმოგიდგენიათ? ჯერ რა არაკოლეგიალობაა! 24 საათი, ჩემს ტელეფონზე ეკიდა, როცა სჭირდებოდა და ერთხელ ხომ შეეძლო, დაერეკა ჩემთვის? ეს კითხვები ჩნდება...

– თქვენი ინფორმაციით, რა დაინტერესება აქვს მელიას?

– გამოჩნდა, რა დაინტერესებაც აქვს. ფეხებზე დაიკიდა მიხეილ სააკაშვილი, მის პარტიას სძინავს და ეს ამომრჩეველმა არ აპატია, უთმინეს, უთმინეს და ბოლოს ხმა ამოიღეს. ახლა ხაბეიშვილსაც იგივე გაუკეთა, ნახეთ მისი მესიჯ-ბოქსი, რასაც ღიად უწერდნენ – ხაბე, სულ ეს ხარო? – მაშინ ვუთხარი, ხალხო, რას კადრულობთ, თავენი პარტიის დამფუძნებელი ლიდერი ციხეში კვდება და ხაბეიშვილს ეჯინებით და ხალხი არ მიაშველეთ-მეთქი?! ამას ჰქვია ადამიანურად და მორალურად ღალატი!

ცოტა ხანში ნახავთ, ვინ გამოჩნდება და ვინ დგას ყველაფერ ამის უკან. ნაციონალური მოძრაობიდან სია კვლავ იყიდება, თუ არ გადაარჩინეს ნამდვილმა, იდეურმა წარმომადგენლებმა ეს პარტია. ეს არის ამორალობა, როცა ამ დონეზე ატყუებ ამომრჩეველს და სინამდვილეში, რომელიღაც 1 ან 2%-იანი პარტიის...

– ბევრ მინიშნებას აკეთებთ და არ აკონკრეტებთ, ვისზე საუბრობთ...

– ბევრი განტოლება ამოვხსენი და დაგიდეთ.

– რატომ არ ამბობთ, ვის გულისხმობთ მელიას უკან მდგომ ძალად?

– დაახლოებით, დავასახელე. ერთ-ერთი დაბალპროცენტიანი პარტია.

– რომელიც დიდ ფულს იხდის ყველაფერ ამაში?

– ძალიან და ჩართულია პირდაპირ ივანიშვილიდან. ხალხო, რაც ვიცი, ვამბობ და თუ რამე არსებობს ისეთი, რაც თამარ ჩარკვიანს ასე განუცხადებია და არ ასრულებულა? – გადახედეთ!

მართლა ნაციონალური მოძრაობის საქმეა, არჩევნებს როგორ ჩაატარებენ, როგორ გადაარჩენენ პარტიას და არ მოატყუებენ საკუთარ ამომრჩეველს.

„საქსტატის“ შტატიანი თანამშრომლები შეთავსებით შტატგარეშეებადაც მუშაობდნენ

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი დასკვნა – რა დარღვევები გამოვლინდა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სტატისტიკის ეროვნული სამსახური შეამოწმა. „საქსტატის“ მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების, შრომის ანაზღაურებისა და ტრანსპორტის ხარჯების შესაბამისობის აუდიტი უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნდა. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, შტატით დასაქმებულებზე შეთავსებით, შრომითი ხელშეკრულებით გაცემულ ანაზღაურებაში ხარვეზებია. რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვებსა და ტრანსპორტის ხარჯებს, ამ მხრივ, სახელმწიფო აუდიტორებს „საქსტატში“ ხარვეზები არ გამოუვლენიათ.

ვიდრე შრომის ანაზღაურებაში არსებულ ხარვეზებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ „საქსტატი“ დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც შექმნილია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით. „საქსტატი“ თავის საქმიანობას ახორციელებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ დებულების, „საქსტატის“ საბჭოს დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

„საქსტატის“ საქმიანობის განმხილველი ორგანოა უწყებასთან არსებული საბჭო, რომლის ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება საბჭოს თავმჯდომარის არჩევა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის „საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურის წარდგენა, სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა, „საქსტატის“ საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება, „საქსტატის“ ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

„საქსტატს“ ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც იმავდროულად, ამ უწყების საბჭოს თავმჯდომარეცაა. საბჭო შედგება რვა წევრისაგან, საიდანაც ერთი – საქართველოს ეროვნული ბანკის, ერთი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ერთი კი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელია. რაც შეეხება საბჭოს დანარჩენ ხუთ წევრს, არცერთი მათგანი საჯარო მოსამსახურე არ უნდა იყოს.

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა „საქსტატში“. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ეფექტიანი ხარჯვით, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული პროცესი, ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

„აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ „საქსტატში“, სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე შტატიანი მოსამსახურეები, შრომითი ხელშეკრულებით, შეთავსებით მუშაობდნენ შტატგარეშედ ანუ ფაქტობრივად, სამუშაო დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში, ორ პოზიციაზე იყვნენ დასაქმებულები. ეს განპირობებული იყო „საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №13 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ფარგლებს გარეთ „საქსტატის“ სისტემაში დასაქმებული პირების მიერ შეთავსებით სამუშაოს, მისი შესრულების ფორმის და მასთან დაკავშირებული შრომის ანაზღაურების განსაზღვრისა და გაცემის წესით“, რომელიც საშუალებას აძლევდა შტატიან თანამშრომლებს, ძირითადი სამუშაოსგან თავისუფალ ნებისმიერ დროს, მათ შორის, სამუშაო საათებშიც, შეთავსებით შეესრულებინათ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

საშტატო თანამდებობაზე დასაქმებული თანამშრომლების სარგო განისაზღვრება ნამუშევარი საათების მიხედვით. შრომის ანაზღაურების პირველად დოკუმენტს, საშტატო განრიგთან ერთად, წარმოადგენს ნამუშევარი დროის ამსახველი დოკუმენტი – ტაბელი. შესაბამისად, საშტატო სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილი დროის რესურსის გამოყენება სხვა საქმიანობისთვის, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისთვის, წარმოადგენს საჯარო მოსამსახურის რესურსების არაპროდუქტიულ გამოყენებას. აუდიტორების მტკიცებით:

„2020 წელს – 68, ხოლო 2021 წელს – 93 შტატიანი თანამშრომელი პარალელურად მუშაობდა შრომითი ხელშეკრულებით. შეთავსებით მუშაობისას, შრომითი ხელშეკრულებით ანაზღაურებულმა თანხამ 2020 წელს შეადგინა 202 325 ლარი, 2021 წელს – 404 695 ლარი. ამასთან, გაურკვეველია, შტატით განსაზღვრული სამუშაოებისთვის განკუთვნილი დროის რა ნაწილი დაიხარჯა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე. „საქსტატში“ დასაქმებულების სამუშაო დროის აღრიცხვის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა სათანადო კონტროლს – რა დროს უთმობდნენ შტატით გათვალისწინებული თანამშრომლები ძირითად სამუშაოს და რამდენს – შეთავსებით სამუშაოს, რაც ხელს უშლის ხარჯების ეკონომიურ განკარგვას“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ „საქსტატში“ დასაქმებულების სამუშაო დროის აღრიცხვის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სათანადო კონტროლს. მეტიც, „საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №13 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ფარგლებს გარეთ „საქსტატის“ სისტემაში დასაქმებული პირების მიერ შეთავსებით სამუშაოს, მისი შესრულების ფორმის, მასთან დაკავშირებული შრომის ანაზღაურების განსაზღვრისა და გაცემის წესი“ ვერ უზრუნველყოფს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნის დაცვას. შესაბამისად, შტატიან თანამშრომლებს საშუალებას აძლევდა სამუშაო საათებშიც შეესრულებინათ შეთავსებით შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო, რაც ზრდის არაეკონომიური ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

პარლამენტის საშემოდგომო სესიის ბოლო კვირის პლენარული სხდომა 2023 წლის ბიუჯეტის განხილვას დაეთმობა

მაკა რუხაძე

კვირის მთავარი ეკონომიკური ამბავი

დღეს, 14 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე იმსჯელებენ. საშემოდგომო სესიის ბოლო კვირაში, საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს მესამე მოსმენით განიხილავენ და კენჭსაც უყრიან. 12 დეკემბერს, ბიუროს სხდომაზე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ 14 დეკემბერს, 15.00 საათზე, პარლამენტი 2023 წლის ბიუჯეტს განიხილავს: „არ შეიძლება, ბიუჯეტის განხილვის პროცესი 21.00 საათის შემდეგ გაგრძელდეს. ამიტომ, ვნახოთ, როგორ ჩავეტევით დროში და ამის მიხედვით, შესაძლოა, ხუთშაბათსაც გავაგრძელოთ“.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი „ვერსიაში“ დეტალურად უკვე განვიხილეთ, მაგრამ ვინაიდან მიმდინარე კვირის მთავარი ეკონომიკური ამბავი სწორედ ბიუჯეტის დამტკიცებაა, ამჯერად, მხოლოდ ძირითად პარამეტრებს შეგახსენებთ – მომდევნო წლიდან იზრდება პენსია, ასევე, პედაგოგების, ჯარისკაცების, პოლიციელებისა და საჯარო სექტორში დასაქმებულ მოხელეთა შრომითი ანაზღაურება.

დავიწყოთ იმით, რომ 2023 წელს, საქართველოს მთავრობა 21 მილიარდ 154 მილიონ ლარს დახარჯავს. მომდევნო წელს, რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5%-ის ფარგლებში და მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ნომინალში 79.6 მილიარდ ლარს მიაღწევს. მეტიც, 2023 წლის ბოლოს, საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა შემცირდება და მშპ-ის 38.8%-ით იგეგმება. კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი პარამეტრი ისაა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის დეფიციტი 2.8%-მდე მცირდება, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ინფლაციაზე.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიულადაა დაგეგმილი, კერძოდ, რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5%-ის ფარგლებში და ეს მაჩვენებელი შენარჩუნებულია საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში; ნომინალური მშპ-ის პროგნოზი განსაზღვრულია 79.6 მილიარდი ლარით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მშპ, თითქმის, 7 500 აშშ დოლარს უტოლდება. აქედან გამომდინარე, 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად 24.3 მილიარდი ლარია, რაც საშუალებას გვაძლევს, ბიუჯეტმა სრულყოფილად უპასუხოს ქვეყნის ძირითად გამოწვევებს, კერძოდ:

თავდაცვა და უსაფრთხოება – თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება 490 მილიონ ლარზე მეტით იზრდება, მათ შორის, პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასების 20%-ით გაზრდის მიზნით, გათვალისწინებულია 290 მილიონ ლარზე მეტი; საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები 10%-ით იზრდება.

სოციალური მიმართულება – ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება 770 მილიონ ლარზე მეტით იზრდება, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია: 70 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსიის მატება 65 ლარით, რაც ნიშნავს, რომ მომავალ წელს, პენსია 365 ლარი გახდება. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია, ოღონდ მაღალმთიან დასახლებებში, თითქმის 440 ლარს გაუტოლდება; 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 35 ლარით და განისაზღვრება 295 ლარით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში, თითქმის 355 ლარს გაუტოლდება; გარდა პენსიისა, გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 65 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემელი 35 ლარით გაიზრდება; მიმდინარე წლის ივნისიდან, 150 ლარამდე გაზრდილი ბავშვთა სოციალური დახმარება მთელი წლის მანძილზე გაგრძელდება; დევნილთა სახლების უზრუნველყოფის მიზნით, დაიწყება 7 000 ბინაზე გათვლილი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა, რისთვისაც 2023 წელს, 250 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

განათლება – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება 290 მილიონ ლარზე მეტით გაიზრდება, რომლის ფარგლებში: საჯარო სკოლების მასწავლებელთა დანამატი იზრდება 125 ლარით; ასევე, 125 ლარით იზრდება მანდატურების ხელფასებიც; გათვალისწინებულია საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა; გათვალისწინებულია პროფესიული სასწავლებლების პედაგოთა საათობრივი ანაზღაურების ზრდა (15-დან 18 ლარამდე); იწყება 500-ზე მეტი საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და მშენებლობა, რისთვისაც 2023 წელს, დაიხარჯება 300 მილიონ ლარამდე; გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების 100-ლარიანი ზრდა.

საჯარო სექტორის მდგრადობა – ბოლო ხუთწლიან პერიოდში, 2022 წელს, საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები პირველად გაიზარდა, თუმცა მიმდინარე წელს, კერძო სექტორში გაცილებით მეტად გაიზარდა საშუალო ხელფასი, ვიდრე საჯარო სექტორში. შესაბამისად, აუცილებელია, საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურების საკითხი. მთლიანობაში, 2023 წელს, საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები 10%-ით გაიზრდება, გარდა პოლიციელებისა და ჯარისკაცებისა, რომელთა ხელფასები 20%-ით მოიმატებს.

ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობა – 2023 წელს, მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად. ჯამში, ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართება 6 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დაიხარჯება 1.7 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას მოხმარდება 1.2 მილიარდ ლარზე მეტი; მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად გათვალისწინებულია 2.1 მილიარდ ლარზე მეტი; წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის გასაუმჯობესებლად – 520 მილიონ ლარამდე; საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე – 450 მილიონ ლარამდე; რეგიონების გაზიფიცირებისთვის გამოყოფილია 80 მილიონი ლარი; სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის – 590 მილიონ ლარზე მეტი; მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, გათვალისწინებულია 260 მილიონ ლარზე მეტი.

სამინისტროების დაფინანსება

2023 წელს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 6 798.7 მილიონი ლარით, რომელიც ასე განაწილდება: მოსახლეობის სოციალური დაცვა – 4 813.9 მილიონი ლარი; საპენსიო უზრუნველყოფა – 3 379.2.მილიონი ლარი. უფრო კონკრეტულად, კანონის მიხედვით, 70 წლამდე პირთა პენსია უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, სექტემბერში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაცია შეადგენს 12.7%-ს. ამ მაჩვენებლის მიხედვით, პენსიის ზრდა გათვალისწინებულია 35 ლარით, რაც 2023 წლის იანვრიდან, 295 ლარით განისაზღვრება.

ამავე კანონით, 70 წლისა და მეტი ასაკის პირთა პენსია უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციისა და ბოლო 6 კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის 80%-ის ჯამით. ამ ფორმულით, პენსიის ზრდა გათვალისწინებულია 65 ლარით და მისი მოცულობა 2023 წლის იანვრიდან, განისაზღვრება 365 ლარის ოდენობით.

მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისთვის კანონით განსაზღვრული დანამატების გათვალისწინებით, 70 წლამდე პირთა პენსია იქნება 354 ლარი, ხოლო 70 წლისა და მეტი ასაკის პირთა პენსია – 438 ლარი.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება დაფინანსდება – 1 275.1 მილიონი ლარით; სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში – 85 მილიონი ლარი; სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დაფინანსება იზრდება 14.4 მილიონი ლარით და 66 მილიონ ლარს აღემატება.

დასასრული მე-8 გვერდზე

პარლამენტის საშემოდგომო სესიის ბოლო კვირის პლენარული სხდომა 2023 წლის ბიუჯეტის განხილვას დაეთმობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდება 1 499.1 მილიონი ლარით, მათ შორის, საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტი შეადგენს 850 მილიონ ლარს, ხოლო ახალი კორონავირუსული დაავადების – COVID 19-ის მართვისთვის გამოყოფილია 120 მილიონი ლარი. აქედან, 50 მილიონ ლარზე მეტი გათვალისწინებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ გამოყოფილი რესურსის ფარგლებში, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, რომლის ფარგლებშიც, ძირითადად, ინფექციური საავადმყოფო აღიჭურვება; ამავე პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია სასწრაფოს დახმარების სამსახურის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა, ხოლო სოფლის ექიმებისა და ექთნების ანაზღაურება 100 ლარით გაიზრდება; სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა დაფინანსდება 42.1 მილიონი ლარით; შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა – 90.3 მილიონ ლარამდე, მათ შორის, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია 80 მილიონი ლარი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 267.7 მილიონი ლარი. პროგრამის დაფინანსება გაზრდილია 2.6-ჯერ და ამ თანხის ფარგლებში, 7 000 ბინაზე გათვლილი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა დაიწყება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 1 978.6 მილიონი ლარით; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება – 401.2 მილიონი ლარით; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება – 2 975.9 მილიონი ლარით, მათ შორის, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებულია 1 543.2 მილიონი ლარი, გრანტებში – 13.9 მილიონ ლარამდე, კრედიტებში – 1 418.8 მლნ ლარამდე; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 688.5 მილიონ ლარს; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გათვალისწინებულია 653.7 მილიონი ლარი; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 106 მილიონ ლარს; იუსტიციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 369.4 მილიონი ლარი; საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის – 183 მილიონი ლარი; თავდაცვის სამინისტროსთვის – 1 260 მილიონი ლარი, რაც 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას 257.6 მილიონი ლარით აღემატება; შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის – 1 070 მილიონი ლარი, რაც 2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას 205 მილიონი ლარით აღემატება. დაფინანსების ზრდა, ძირითადად, დაკავშირებულია პოლიციელთა ხელფასების 20%-ით ზრდასთან. ამასთან, სამინისტროს ასიგნება 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებასთან შედარებით, 107.5 მილიონი ლარით მეტია; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 180 მილიონი ლარი, რომლის ფარგლებში, გათვალისწინებულია პოლიციელთა ხელფასების 20%-იანი ზრდა; საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გათვალისწინებულია 76.0 მილიონი ლარი; ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დაფინანსება შეადგენს 3.8 მილიონ ლარს; საქართველოს პროკურატურისთვის გათვალისწინებულია 53.8 მილიონი ლარი; სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის გათვალისწინებულია 17 მილიონი ლარი; სასამართლო სისტემისთვის გათვალისწინებულია – 138.5 მილიონი ლარი, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლო დაფინანსდება 5.8 მილიონი ლარით; უზენაესი სასამართლო – 15.5 მილიონი ლარით; საერთო სასამართლოები – 110 მილიონი ლარით; იუსტიციის უმაღლესი საბჭო – 7.2 მილიონი ლარით.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 9.9 მილიონი ლარი; სახალხო დამცველის აპარატისთვის – 9.3 მილიონი ლარი; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის – 4 მილიონი ლარი; საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციების დაფინანსება შეადგენს 75 მილიონ ლარს; სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 18.8 მილიონი ლარი; ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის – 35.8 მილიონი ლარამდე; მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსება შეადგენს 22 მილიონ ლარს; პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გათვალისწინებულია 9.1 მილიონი ლარი; სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების დაფინანსება ჯამში – 10.2 მილიონი ლარი.

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ოფიციალური ვიზიტით ისრაელში იმყოფებოდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე შალვა ბედოიძე, სამუშაო ვიზიტით ისრაელს ესტუმრა, სადაც სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელ პირთა საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

ვიზიტის ფარგლებში, შალვა ბედოიძემ ორმხრივი შეხვედრა გამართა ისრაელის ეროვნული პოლიციის ხელმძღვანელ იაკოვ შაბთაისთან. მხარეებმა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

რაც შეეხება საერთაშორისო კონფერენციას, მას მსოფლიოს 50-ზე მეტი სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. კონფერენციას ისრაელის ეროვნული პოლიციის ხელმძღვანელი მასპინძლობდა.

ღონისძიების ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, მასების მართვა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, საზღვრის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა.

კონფერენციის მონაწილეები დეტალურად გაეცნენ ისრაელის ეროვნული პოლიციის ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და მათ როლს სამართალდამცავ ორგანოებში არსებული გამოწვევების დაძლევაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, გურიისა და აჭარის სკოლებში შეხვედრები გამართეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, სხვადასხვა რეგიონის სკოლებში შეხვედრები გრძელდება. სამინისტროს დანაყოფების წარმომადგენლებმა მოსწავლეებთან შეხვედრები გამართეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის N1 და N4 საჯარო სკოლებში, ასევე, ქალაქ ქობულეთის N2 და N3 საჯარო სკოლებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მოზარდებს ინფორმაცია მიაწოდეს სხვადასხვა საჭირო და აქტუალურ თემაზე, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ნაადრევი ქორწინებისა და მისი ზიანის, ბულინგის, ძალადობისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, აგრეთვე, მართლწესრიგთან დაკავშირებით.

შეხვედრებზე სამინისტროს წარმომადგენლებმა ბავშვებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის თემაზე გადაღებული ვიდეორგოლები უჩვენეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანია „ემეგობრე პოლიციას“ სექტემბერში დაიწყო, რომლის ფარგლებშიც, საზოგადოებრივი ღონისძიებები მთელი ქვეყნის მასშტაბით, დიდ ქალაქებში უკვე ჩატარდა, საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში კი წლის ბოლომდე გაგრძელდება.

სამართალი

№49 14 დეკემბერი 2022 წ

ვინ იყო საბჭოთა კავშირში ყველაზე გავლენიანი ქალი, რომელიც კრიმინალურ სამყაროს შიშის ზარს სცემდა

როგორ დაგეგმეს „იაპონჩიკის“ ყოფილმა ცოლმა და შვილმა თვითმფრინავის გატაცება

ბათო ჯაფარიძე

როგორ დასრულდა თვითმფრინავის გატაცება 1983 წელს, საქართველოში, ყველამ კარგად იცის, თუმცა თვითმფრინავის ბიჭების საქმე დღემდე ბურუსითაა მოცული და სიმართლეს ბოლომდე არავინ ამბობს. დავა მიდის იმაზეც, ვინ სთხოვა „გენსეკს“ ბიჭებისთვის დახვრეტის მუხლი შეეცვალათ და მერე ვინ წაიღო უკან ხელმოწერა...

1988 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების კომიტეტში შეტყობინება შევიდა – სომხეთში, კერძოდ კი ლენინაკანში, თვითმფრინავის გატაცება იგეგმებოდა. ინფორმაცია უტყუარი იყო, სამართალდამცავებმა იცოდნენ არა მარტო ის, თუ ვინ აპირებდა გატაცებას, არამედ, იცოდნენ ჯგუფის ხელმძღვანელის სახელიც და ისიც, რისთვის სჭირდებოდა მას თვითმფრინავი. გატაცება რვა ადამიანს უნდა განეხორციელებინა და ისინი მოსკოვიდან ლენინაკანში სპეციალურად ამ საქმისთვის ჩავიდნენ, მაგრამ მათი აყვანა ვერ მოხერხდა. უშიშროების ინფორმაციით, მათ არ ჰქონდათ იარაღი და ყველაფერი ეს ბოლო დღეს უნდა მიეღოთ. სწორედ ამიტომ, განიხილებოდა ვარიანტი, რომ შესაძლებელი იყო, კრიმინალებს ეს მართლაც მოეხერხებინათ და ამიტომ, მუშაობდნენ სხვა ვერსიაზეც – გატაცების შემთხვევაში, თვითმფრინავი ავარიულად ბაქოს ან თბილისის აეროპორტში დაესვათ. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავარი აეროპორტების ანგარებში, მოიერიშე ვერტმფრენები იდგნენ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, გატაცებულ თვითმფრინავს ჩამოაგდებდნენ, თუ მისი დასმა ვერ მოხერხდებოდა. რატომ იყო შეშფოთებული ასე უშიშროების კომიტეტი და რატომ ეგონათ, რომ შესაძლებელი იყო ჰაერში აწეული თვითმფრინავი მოიერიშეებს არ შეშინებოდა და გამტაცებლებს სიცოცხლე გაეწირათ, ქვემოთ გიამბობთ.

„მიღებული ინფორმაციის შემდეგ, პრაქტიკულად, ყველა საქმე გვერდზე გადავდეთ და მხოლოდ თვითმფრინავით ვიყავით დაკავებულები. რვავე კრიმინალს მოსკოვიდან ჩამოსული ოპერმუშაკები მწყემსავდნენ, თუმცა მალე ეს პრაქტიკა შეიცვალა და მოსკოვიდან ბრძანება მოვიდა, რომ სავარაუდო გამტაცებლებისთვის ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს უნდა ეთვალთვალათ, რადგან ლენინაკანში რუსების გამოჩენა ეჭვებს აღძრავდა. საქართველოდან 11 კაცი წავედით, რათა საჭროების შემთხვევაში, ერთმანეთი შეგვეცვალა და ობიექტს ეჭვი არ აეღო“, – გვიყვება ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული კრიმინალური ისტორიის დეტალებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გამტაცებელთა მეთაური ქალი იყო – ვინმე კალინა ნიკიფოროვა. ეს კავკასიელი სამართალდამცავებისთვის იყო კალინა რიგითი ქალი, თორემ მოსკოველებმა კარგად იცოდნენ, რომ საქმე ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს და გავლენიან კრიმინალთან ჰქონდათ.

კალინა მოსკოვში დაიბადა, მშრომელების ოჯახში გაიზარდა და მალევე მიხვდა, რომ პატიოსანი შრომით შორს ვერ წავიდოდა. ამიტომ, 17 წლის ასაკში ერთ-ერთ იუველირს გაჰყვა ცოლად და იმის მიუხედავად, რომ ქმარი ლამის ნახევარი საუკუნით იყო უფროსი, ამას გოგონასთვის ხელი არ შეუშლია, ბედნიერების მორევში ჩაძირულიყო. მას ჰქონდა ყველაფერი, რისი ნატვრაც კი მაშინ საბჭოთა კავშირში შეიძლებოდა და როცა ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ იუველირი გულის შეტევით გარდაიცვალა, კალინას დიდხანს არ უგლოვია – მისი დატოვებული ათასები და ძვირფასეულობა კარგა ხანს ეყოფოდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ უქმად ყოფნა არაფერს არგებდა. ამიტომ, სოლიდური ქრთამი გადაიხადა და გამყიდველად „ბერიოზკაში“ მოეწყო. იცით, რა იყო კომუნიზმში „ბერიოზკა“? რა და, – კაპიტალიზმი. იქ იყიდებოდა უცხოური პროდუქცია და მას განსაკუთრებული კლიენტურა ჰყავდა. „ბერიოზკაში“ რიგითი ადამიანი ვერ მოხვდებოდა და ვერც საბჭოთა მანეთით შეიძენდა რამეს. იქ ვაჭრობდნენ ისინი, რომლებიც საზღვარგარეთ დადიოდნენ და რომლებსაც ე.წ. ჩეკებს, პრაქტიკულად, ვალუტას აძლევდნენ და სწორედ ამ „ჩეკებით“ ანუ ვალუტით ვაჭრობდნენ.

კალინამ ბიზნესი მალე ააწყო, ვალუტით ვაჭრობა დაიწყო და მალე ის გახდა მოსკოვში ყველაზე ძლიერი გადამყიდველი. რა თქმა უნდა, ეს სამართალდამცავებს არ გამოპარვიათ და დააკავეს. ქალს თანამშრომლობა შესთავაზეს და უთხრეს, რომ მხოლოდ 3 წელს მისცემდნენ, თუ ვალუტის მსყიდველებს ჩაუშვებდა. ნიკიფოროვამ თანამშრომლობა დაიწყო და 20-ზე მეტი მყიდველი დაიჭერინა, მაგრამ მათ შორის არ იყო არცერთი მსხვილი და სერიოზული შემსყიდველი, ისინი ქალმა არ გასცა, თუმცა ძალოვნებისგან დაპირებული სამი წელი მიიღო. ციხე მისთვის ნამდვილი აკადემია გამოდგა – აითვისა და შეისწავლა ყველაფერი, რისი შესწავლაც ციხეში შეიძლებოდა და იქიდან გამოსული... ერთ-ერთ მიგდებულ კაფეში ოფიციანტად მოეწყო. კაფეში უამრავი კრიმინალი ირეოდა, თუმცა კალინა ყველას უარით ისტუმრებდა და თითქოს რაღაცას თუ ვიღაცას ელოდა. ის ვიღაც მალე გამოჩნდა – დახვეწილი, ყველასგან პატივცემული, ე.წ. კანონიერი ქურდი ვიაჩესლავ ივანკოვი, რომელსაც კრიმინალური სამყარო „იაპონჩკის“ მეტსახელით იცნობდა. კალინა „იაპონჩიკის“ ცოლი გახდა. ჰო, ცოლი და მართალია, მათ ხელი არ ჰქონდათ მოწერილი (ქურდული კოდექსი ამას არ ითვალისწინებდა), ისინი ერთად ცხოვრობდნენ. „იაპონჩიკი“ ღამე იმ სახლში რჩებოდა, სადაც კალინა ცხოვრობდა და ასწრებდა პრაქტიკულად ყველა საქმის გარჩევას.

როგორც შემდეგ სამართალდამცავები იტყვიან, „იაპონჩიკისგან“ კალინამ ისწავლა მთავარი – არასდროს გაისვარო სისხლში ხელი, დაე, ეს სხვებმა გააკეთონ და მას შემდეგ, რაც ის დააკავეს, კრიმინალურ სამყაროს მეთაურად სწორედ ნიკიფოროვა მოევლინა. არ გეგონოთ, რუსეთში მცხოვრებმა კრიმინალებმა თუ ე.წ. კანონიერმა ქურდებმა ეს გააპროტესტეს. კალინას გარშემო ასზე მეტი თავზეხელაღებული კრიმინალი იყო შეკრებილი და ისინი მთელ რუსეთს შიშის ზარს სცემდნენ. ესეც არ იყოს, მან შვილი გააჩინა, ბიჭი და მაშინვე თქვა, რომ ის „იაპონჩიკისგან“ იყო. თავად ივანკოვი არ ამბობდა, ვისი იყო ბიჭუნა, მაგრამ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ბავშვს გვერდიდან არ იშორებდა და ამბობდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ქურდული სამყაროს ბოსი სწორედ პატარა ვალოდია იქნებოდა.

მალე „იაპონჩიკი“ მეორედ ჩავარდა და მას ხანგრძლივი სასჯელი მისცეს. კალინა მიხვდა, რომ რაღაც ახალი უნდა მოეფიქრებინა და მხოლოდ რეკეტით შორს ვერ წავიდოდა. ვიღაც აუცილებლად იჩივლებდა (ადრეც ჩიოდნენ, მაგრამ სასამართლოზე ყველაფერს უარყოფდნენ) და ბოლოში გავიდოდა. ამიტომ, მან ქმრად კიდევ ერთი ე.წ. კანონიერი ქურდი, სომეხი რუბენ სარქისიანი (მეტსახელად, „პროფესორი“) მიიყვანა. ჰო, ქმრად მიიყვანა, რადგან მისი ნებართვის გარეშე, ქალს სიტყვას ვერავინ უბედავდა. ამავდროულად, 22 წლის ასაკში, მან თავისი შვილი ქურდად „მოანათვლინა“ და გავლენის სფეროდ მოსკოვი უფეშქაშა. რაც შეეხება ახალ ქმარს, ქალს მასზეც სერიოზული გათვლა ჰქონდა. მალე მოსკოვში რამდენიმე მიწისქვეშა ცეხი გაიხსნა, სადაც სომხეთიდან ჩამოყვანილი მეწაღეები მუშაობდნენ და საუკეთესო ფეხსაცმელს კერავდნენ. ტყავი კონტრაბანდული გზით ფინეთიდან შემოდიოდა, ნაჭერი – გერმანიიდან და თუ მაღაზიის დახლზე ფეხსაცმელი 80 მანეთი ღირდა, კალინას „ცეხში“ შეკერილის ფასი 400 მანეთი იყო და რაც მთავარია, „ცეხები“ მუშტარს ვერ აუდიოდნენ – გაკეთებიდან მეორე დღესვე ყველაფერი იყიდებოდა.

და დადგა 1988 წელი. კალინა ჯანმრთელობამ შეაწუხა და ის ექიმებს გაესინჯა. დიაგნოზი საშინელი იყო – სისხლის კიბო. იმის მიხუედავად, რომ მოსკოველმა ექიმებმა იცოდნენ ქალის შესაძლებლობები და ისიც, რომ საჭიროების შემთხვევაში, ნიკიფოროვას მილიონი მანეთის გადახდაც შეეძლო, თავს მაინც უიმედოდ აქნევდნენ და იმეორებდნენ – ჩვენთან ეს არ იკურნება. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დაავადების სხვაგან განკურნება იყო შესაძლებელი და ის „სხვაგან“ ევროპა ან აშშ გახლდათ. კალინას საბჭოთა კავშირიდან მარტივად არავინ გაუშვებდა, ამიტომ მან შეიმუშავა გეგმა და გაარკვია, რომ მთელ საბჭოთა კავშირში ყველაზე ცუდად სწორედ ლენინაკანის აეროპორტი კონტროლდებოდა. ამასთან ერთად, სომხეთში მის ქმარს დიდი გავლენა ჰქონდა და ამიტომაც შეირჩა ჩვენი მეზობელი რესპუბლიკა. იმ რვა კრიმინალმა კი, რომლებსაც ყველაფერი ეს უნდა განეხორციელებინათ, დაკავების შემდეგ თქვეს – კალინა ევროპაში გადასვლისთანავე თითოეულს ნახევარ მილიონ დოლარს დაგვპირდა და ყველას გვჯეროდა, რომ ქალს ასეთი თანხები ჰქონდა. გატაცება რამდენჯერმე გადაიდო, რადგან კალინას ჯანმრთელობა უარესდებოდა და ვერ ახერხებდა გადაადგილებასაც კი. საბოლოოდ, გეგმა იმიტომ ჩავარდა, რომ ყველა დროის ყველაზე ძლიერ კრიმინალ ქალად აღიარებული კალინა ნიკიფოროვა გარდაიცვალა. ის ერევანში დაასაფლავეს და მის გასვენებას ორ ათეულზე მეტი ე.წ. კანონიერი ქურდი დაესწრო.

მისი გარდაცვალება ციხეში გაიგო „იაპონჩიკმა“ და როგორც ამბობენ, ძალიან განიცადა. მისი შვილი კი, 1992 წელს, სახლიდან გამოსვლის დროს ჩაცხრილეს. მაშინვე ითქვა, რომ „იაპონჩიკისა“ ნიკიფოროვას საერთო შვილი ე.წ. კანონიერი ქურდის, ვინმე „მანსურის“ ძმამ მოკლა. თავად „მანსურს“ ორი თვით ადრე მასთან კონფლიქტი მოუვიდა და ნიკიფოროვას შვილმა დანით მოკლა.

„რეალურად, კალინა ნიკიფოროვას არსებობა სწორედ მაშინ გავიგეთ. მერე და მერე, მის ბიოგრაფიას გავეცანი და მინდა გითხრათ, რომ დაკითხვის ოქმები, როცა მას აკავებდნენ, მაგრამ ბრალს ვერ უმტკიცებდნენ, შედევრებია. როგორც ვიცი, მას პოლიციის უმაღლეს სკოლებში, რუსეთში, ახლაც ასწავლიან და უხსნიან, როგორ შეიძლება დაიძვრინოს თავი დამნაშავემ, როცა თითქოს მის წინააღმდეგ უტყუარი ფაქტები გაქვს. ნიკიფოროვა ამას ყოველ ჯერზე ახერხებდა“, – გვითხრა ბატონმა თენგიზმა.

ბოშა ქალი და ძმებ გაივორანსკებისს ნარკომაფია

როგორ გახსნეს ქართველმა სამართალდამცავებმა ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე

ბათო ჯაფარიძე

1980 წლის 19 ივლისს დაიწყო და იმავე წლის 3 აგვისტოს დასრულდა ოლიმპიური თამაშები, რომელსაც მოსკოვმა უმასპინძლა. ოლიმპიადის სიმბოლო – „საბჭოური“ დათუნია მაშინ გულწრფელად ბევრმა შეიყვარა, თუმცა ოლიმპიადის დაწყებიდან ერთ კვირაში, საბჭოთა კავშირში ძალიან სამწუხარო ამბავი გავრცელდა – 42 წლის ასაკში, პოეტი, პროზაიკოსი, მომღერალი, კომპოზიტორი, თეატრისა და კინოს მსახიობი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ვლადიმერ ვისოცკი გარდაიცვალა. ჰოდა, ოლიმპიადის ზეიმთან ერთად, საბჭოთა კავშირი ვისოცკისაც დასტიროდა. მაშინ ითქვა, რომ ცნობილი მომღერალი და მსახიობი გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა, თუმცა კულუარებში ამბობდნენ, რომ ნარკოტიკების ზედოზირებას ემსხვერპლა. არადა, ამის ხმამაღლა თქმა მაშინ წარმოუდგენელი იყო, რადგან... საბჭოთა კავშირში ნარკოტიკები სექსივით იყო ანუ არ არსებობდა.

იმ დროისთვის ყაზახეთსა და ყირგიზეთში, უდიდეს ფართობებზე ყაყაჩო ითესებოდა. ყაყაჩოს პლანტაციებიდან სახელმწიფო ოპიუმს იღებდა, რომლისგანაც სამედიცინო დანიშნულების წამალს ამზადებდნენ, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ოპიუმი, ოღონდ გადაუმუშავებელი სახით, ყველა ოჯახში იყო, რომელსაც მთავარი ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად იყენებდნენ. ჩვილ ბავშვსაც კი, თუნდაც მუცლის ტკივილის დროს, პირში ოპიუმიან თითს გამოუსვამდნენ და 30 წამის შემდეგ, ტკივილი ქრებოდა. ერთი შეხედვით, პლანტაციები მკაცრად კონტროლდებოდა და მოსახლეობას ოპიუმის გატანის შესაძლებლობა არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ახერხებდა მოპარვას, რასაც უდიდესი მასშტაბები ჰქონდა. ამის მიუხედავად, კომპარტიის გენერალურ მდივნამდე ეს ამბავი არავის მიჰქონდა, რადგან ძალიან დიდი იყო იმის შანსი, რომ ჯერ ნიკიტა ხრუშჩოვსა და შემდეგ – ლეონიდ ბრეჟნევს, ცხელ გულზე, საჩვენებელი სადამსჯელო ღონისძიება მოეწყო და ათეულობით ადამიანი, ნარკოტიკებთან ბრძოლოს მოტივით, დაეხვრიტა.

„სწორედ მაშინ, როცა ოლიმპიადა გახურდა, ხოლო ბრეჟნევი რეალურად მმართველი აღარ იყო, რადგან ასაკისა და ავადმყოფობის გამო, ვეღარ მართავდა, ყველა რესპუბლიკას ერთი პრობლემა შეექმნა და მას ნარკოტიკი ერქვა. ოპიუმისა და მისგან წარმოებული ე.წ. სირეცის პარტიები ყველა რესპუბლიკაში დიდი ოდენობით შედიოდა და სამართალდამცავები უძლურები ვიყავით, რადგან რაც უნდა დიდი პარტია ამოგვეღო, ხმამაღლა ამაზე საუბარი არ შეიძლებოდა. რაც მთავარია, როგორც ცალკე განყოფილება, ნარკოტიკებთან ბრძოლის მიმართულება, მხოლოდ ფურცელზე არსებობდა და როგორც მილიციაში, ისე უშიშროებაში, მასში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობდა“, – პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი იმ ისტორიას გვიყვება, როცა ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა, ნარკოტიკებისა და ნარკოდამოკიდებული ადამიანების არსებობა ეღიარებინა.

ყაზახეთსა და ყირგიზეთში ერთი კილო ოპიუმის ყიდვა 800-დან 1000 მანეთამდე შეიძლებოდა და ეს მაშინ, როცა უკვე დაფასოებული და სარეალიზაციოდ, „ჩეკებად“ გამზადებული კილო ოპიუმის ფასი 25 ათას მანეთამდე ადიოდა. მისი მომხმარებლები ძირითადად ხელოვნების დარგში დასაქმებული ადამიანები იყვნენ, ე.წ. ბოჰემა, რომლებსაც შესაძლოა შინაგანი პროტესტი ჰქონდათ საბჭოთა რეჟიმის მიმართ, მაგრამ ხმამაღლა ვერ ამბობდნენ. აკრძალული ნივთიერების მიღებაც, თითქოს ერთგვარი პროტესტი იყო. ოპიუმს აქტიურად მოიხმარდნენ ჩინოვნიკთა შვილები, რომლებსაც სამართალდამცავები, უბრალოდ, ვერ აკავებდნენ.

„ერთხელ, ერთ-ერთი ბოშა ქალის სახლი გავჩხრიკეთ. არსებობდა ეჭვი, რომ ნაქურდალი ოქრო ჰქონდა, მაგრამ ოქროს ნაცვლად, მივაგენით ოპიუმს და ეს არ იყო მცირე პარტია, 80 კილოგრამი ნარკოტიკი ვნახეთ, რომლის ფასიც შავ ბაზარზე 2 მილიონ მანეთს აჭარბებდა. რა თქმა უნდა, საქმეში უშიშროების კომიტეტიც ჩაერთო და იმის მიუხედავად, რომ ქალი ყველა დაშვებული თუ აკრძალული მეთოდებით დაკითხეს, ხმა არ ამოიღო და მუდმივად იმას იმეორებდა, არ ვიცი, ეს რა არის, თქვენ მოიტანეთ და თქვენ დამიდეთ სახლშიო. არადა, 80 კილოგრამი ნარკოტიკს ძალოვანი უწყება არ კი არა, ვერავინ ჩადებდა იმიტომ, რომ ეს ოდენობა არათუ სამინისტროს საცავებში, არამედ, მთელ საქართველოში არ იქნებოდა. ამიტომ, აგენტურული ქსელი ამუშავდა და დაახლოებით, სამ დღეში, მომწოდებლის სახელი ვიცოდით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

კვალი ყირგიზეთში, ძმებ მიხაილ და ფიოდორ გაივორანსკებთან მიდიოდა. საქმეში იყო ჩართული მიხაილის ცოლიც და ეს სამეული ბედნიერად ცხოვრობდა, ადგილობრივებისგან ოპიუმს ყიდულობდა და შემდეგ იქვე, სოფლის ბოლოს, მოსკოველ „ბარიგებზე“ ჰყიდდა, საიდანაც უკვე მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ავრცელებდნენ, თუმცა ქართულ მილიციას ყირგიზეთში სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა. ძმებს ნაყიდი ჰყავდათ ყველა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ჩათვლით, რომელსაც თვეში 1000 მანეთს აძლევდნენ და ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენს უხდიდნენ მილიციის უფროსს, ან პარტიულ მუშაკებს. უხეში დათვლებით, ძმები დღეში 15-დან 25 ათას მანეთამდე შოულობდნენ... დღეში... და ეს მაშინ, როცა ინჟინრის ხელფასი 200 მანეთიც კი არ იყო.

ქართველმა სამართალდამცავებმა დახმარებისთვის მოსკოვს მიმართეს. საბჭოეთის დედაქალაქში ქართველებს ყურადღებით მოუსმინეს და დაგეგმეს სპეცოპერაცია. ერთ-ერთი ქართველი სამართალდამცავი წაავარჯიშეს ჟარგონების თქმაში, ხელზე დროებითი ტატუებიც გაუკეთეს და ძმებ გაივორანსკებს სახლში მიაყენეს. ჰო, ეს იყო აფერა – ქართველი მილიციელი პირდაპირ სახლის კარებზე მიადგა ძმებს, მაგიდაზე 75 ათასი მანეთი დაუდო და უთხრა, რომ 5 კილოგრამი ოპიუმი სურდა. კილოგრამში 15 ათასი გამოდიოდა, რაც ლამის ორმაგი ფასი იყო და... ძმები ანკესზე წამოეგნენ. მათ ოპიუმისთვის ქართველი მეორე დღეს, სოფლის განაპირას დაიბარეს, თუმცა... მეორე დღეს, მიხაილი ძმის გარეშე მივიდა და ძალოვნებმაც მხოლოდ ის დააკავეს. ყველაფერ ამას მისი ძმა შორიდან უყურებდა და როცა მიხვდა, რომ ჩავარდნენ, რძალთან ერთად გაიქცა. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, მოსკოვის გამოცდილ ოპერმუშაკებს წყვილი ხელებშუა გაუძვრა და მხოლოდ ორი კვირის შემდეგ, სანკტ-პეტერბურგის (მაშინდელი ლენინგრადი) ერთ-ერთ სასტუმროში დააკავეს. აყვანის დროს, სამართალდამცავებს თან ფოტოაპარატიც ჰქონდათ, რათა ნივთმტკიცებები აღებეჭდათ და... ლოგინში რძალ-მაზლს სურათი ნახევრადშიშვლებს გადაუღეს. როგორც ჩანს, ორივემ ჩათვალა, რომ თუ დაკავებული მიხაილი დახვრეტას გადაურჩებოდა, კარგა ხანს არ გამოვიდოდა ციხიდან, ამიტომ რომანი მარტივად გააბეს. დაკავებული მიხაილი არაფერს ამბობდა, მაგრამ როცა ცოლისა და ძმის სურათები დაუდეს წინ, ყველაფრის მოყოლა დაიწყო.

„ჩვენ ყაყაჩოს პლანტაციებში ვმუშაობდით. გეგმას ვასრულებდით, მაგრამ პარალელურად, ოპიუმს ვიპარავდით და მიწაში ვმარხავდით. მერე, როცა მოსავალს მთლიანად ავიღებდით და პლანტაციები აღარ კონტროლდებოდა, მივდიოდით და ვთხრიდით. მყიდველები ყოველდღიურად მოდიან, უბრალოდ, ჩვენ ოპიუმის დამუშავება ვისწავლეთ და არასდროს ვურევდით სხვა რამეს ანუ სუფთა საქონელი გვქონდა. ამიტომ, კლიენტი მუდმივად გვყავდა“, – განაცხადა მიხაილმა.

სამართალდამცავებმა მათი სახლიდან დიდი რაოდენობით ოქრო ამოიღეს. ასე განსაჯეთ, მათ სახლში ოქროს კოვზები, ჩანგლები, ჭიქები და თეფშებიც კი ჰქონდათ, რომლებსაც აქტიურად იყენებდნენ. მათ აღარეს, რომ ამით თავი ყოვლისშემძლე მეფეებად წარმოედგინათ და პრაქტიკულად, ყოველ საღამოს, ვახშამზე, მაგიდაზე მხოლოდ ოქროს ჭურჭელს აწყობდნენ.

უშიშროებამ ძმებსა და ქალს ბოლომდე თანამშრომლობა შესთავაზა. მეტიც, ბევრმა არ იცოდა, რომ ისინი დაკავებულები იყვნენ და ამიტომ, დროებით, ქალი საცხოვრებელ სახლშიც კი დააბრუნეს, რათა მსხვილი „ბარიგები“ გამოეჭირათ და აკი, გამოიჭირეს კიდეც. ოპერაცია ნახევარ წელზე მეტხანს გაგრძელდა და როცა გისოსებს მიღმა რამდენიმე ათეული „ბარიგა“ აღმოჩნდა, სამეულის გასამართლების დროც დადგა. ოფიციალურად, საბჭოთა კანონების მიხედვით, მათ დახვრეტა ემუქრებოდათ, რადგან მაშინ, თუ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი 100 ათას მანეთს აჭარბებდა, დახვრეტის მუხლი მოქმედებდა, თუმცა თანამშრომლობის გამო, მამაკაცებს 15-15 წელი მისცეს, ქალს კი 10 წლით აღუკვეთეს თავისუფლება. როგორც ამბობენ, გათავისუფლების შემდეგ, მშობლიურ სახლში მხოლოდ ქალი დაბრუნდა, მამაკაცები კი იქ აღარ გამოჩენილან. რაც შეეხება ქალს, ის დღემდე... ყაყაჩოს პლანტაციებში მუშაობს, მაგრამ ახლა, პრაქტიკულად, მოპარვა გამორიცხულია, რადგან პლანტაციები კერძოა და მათ დრონებით აკონტროლებენ. ეს ოფიციალურად, თუმცა ყირგიზეთი დღესაც რჩება ნარკოტიკების ერთ-ერთ უდიდეს მიმწოდებლად და რაც მთავარია, დღესაც, ყველა ოჯახში, ოპიუმი მარტივად იშოვება...

ეს იყო ყველაზე ხმაურიანი საქმე, მაგრამ ძალოვნებს წინ უარესი ელოდათ. ავღანეთიდან საბჭოთა კავშირში მანამდე უცნობი ნარკოტიკი – „ჰეროინი“ დაიძრა და მისი კონტროლი ბევრად გაძნელდა. ეს იმიტომ, რომ „ჰეროინის“ შემოტანის პროცესში რუსი გენერლები იყვნენ ჩართულნი და რაც მთავარია, სამხედრო თვითმფრინავებს აფრენა-დაფრენისას, პრაქტიკულად, არ ამოწმებდნენ.

ბათო ჯაფარიძე

1984 წელს, მოსკოვთან ახლოს, სააგარაკე უბანში, ორი ქალი მოკლეს. ევლალია ფიოდოროვნა და მისი ქალიშვილი თავში მძიმე საგნის ჩარტყმით დახოცეს. ეს საქმე ჩვეულებრივი ძარცვის ეპიზოდად ჩაითვლებოდა, რომ არა ერთი, საინტერესო დეტალი – 84 წლის ევლალია ფიოდოროვნა სერგო გოგლიძის ქვრივი იყო, მეორე ქალი – მისი ქალიშვილი. სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, მათთვის, რომლებმაც არ იციან, ვინ იყო სერგო გოგლიძე, მის ისტორიას მოკლედ გიამბობთ.

რატომ მოკლეს ცნობილი პოლიტიკოსისა და უშიშროების გავლენიანი წარმომადგენლის ცოლ-შვილი



ოქროს ფხვნილით სავსე ჩემოდნის დღემდე ამოუხსნელი საიდუმლო

სერგო გოგლიძე 1901 წლის 12 აგვისტოს, ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის სოფელ ქორთში, გლეხის ოჯახში დაიბადა. 1911-1915 წლებში, სწავლობდა უზბეკეთის ქალაქ კოკანდის კომერციულ სასწავლებელში, 1915-1917 წლებში – ტაშკენტის კომერციულ სასწავლებელში. 1917 წელს, გაიწვიეს მეფის არმიაში. მსახურობდა პირველ ციმბირულ პოლკში. 1918 წელს, შევიდა წითელ არმიაში. 1919 წლის ოქტომბრიდან 1920 წლამდე თურქესტანის ფრონტის რევტრიბუნალის ინსპექტორი, კომენდანტის თანაშემწე და საქმის მწარმოებელი იყო. 1920 წელს, დაამთავრა ტაშკენტის საღამოს საშუალო სკოლა. 1921 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე – თურქესტანის საგანგებო კომისიაში, ჯარების პოლიტსამდივნოს უფროსად მუშაობდა. 1921 წლის ნოემბრიდან 1922 წლის ივნისამდე იყო საკავშირო საგანგებო კომისიის ყირგიზეთის მხარის 37-ე ბრიგადის სამხედრო კომისარი, საკავშირო საგანგებო კომისიის ჯარების კომისარი ჩინეთის საზღვრის დაცვაში. 1922 წლის ივნისიდან 1923 წლის მარტამდე, მუშაობდა მოსკოვში, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარების შტაბის ინსტრუქტორ-ორგანიზატორად, ასევე, სახელმწიფო პოლიტ-სამმართველოს რწმუნებულად დასავლეთის საზღვრების გამაგრების დაცვის საქმეში. 1923 წლის მარტიდან 1926 წლამდე იყო ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის – სახელმწიფო პოლიტსამმართველოს რწმუნებული, დასავლეთის საზღვრების გამაგრების დაცვის საქმეში. 1923 წლის მარტიდან 1926 წლამდე იყო ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის – სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სასაზღვრო დაცვის ნაწილის პოლიტიკური ინსპექციის ინსპექტორი, ორგანიზაციული მუშაობის საქმეში. ახალგაზრდული ასაკისთვის ეს უზარმაზარი თანამდებობები იყო, მაგრამ გოგლიძე თავს ყველაფერს სანიმუშოდ ართმევდა. ის 1926 წლიდან 1927 წლის 1 დეკემბრამდე მუშაობდა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარებისა და სასაზღვრო დაცვის სამმართველოს პოლიტნაწილების ინსპექტორად, 1927 წლის 1 დეკემბრიდან 1930 წლის 1 ივნისამდე – გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარებისა და სასაზღვრო დაცვის სამმართველოს პოლიტგანყოფილების საორგანიზაციო ქვეგანყოფილების უფროსად. 1930 წლის 1 ივნისიდან 1933 წლის 1 ივნისამდე – გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარებისა და სასაზღვრო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილედ დ თანაშემწედ პოლიტნაწილის დარგში, 1933 წლის 1 ივნისიდან 1934 წლის 10 ივლისამდე – გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარებისა და სასაზღვრო დაცვის სამმართველოს უფროსად, 1934 წლის 13 ივლისიდან 11 ნოემბრამდე – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ სამმართველოს უფროსად და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო და შინაგანი დაცვის სამხედრო დაცვის სამმართველოს უფროსად, ამავე წლის 11 ნოემბრიდან 1937 წლის 1 იანვრამდე იყო ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და შინაგან საქმეთ სახალხო კომისარიატის საქართველოს სამმართველოს უფროსი.

1935 წლის 26 ნოემბერს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების მეორე რანგის კომისრის წოდება. სწორედ აქედან დაიწყო მისი ნამდვილი აღმასვლა. 1937 წლის 1 იანვრიდან 1938 წლის 21 ნოემბრამდე სერგო გოგლიძე იყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი. ითვლებოდა ბერიასთან დაახლოებულ და ნდობით აღჭურვილ პირად. 1938 წლის 14 ნოემბრიდან იგი დაინიშნა საკავშირო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ლენინგრადის სამმართველოს უფროსად, სადაც 1941 წლის 26 თებერვლამდე მუშაობდა. 1941 წლის აპრილიდან 31 ივლისამდე იყო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებული მოლდავეთის (ახლანდელი მოდოვა) სსრ-ში. 1941 წლის 31 ივლისიდან 1943 წლის 7 მაისამდე – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხაბაროვსკის მხარის სამმართველოს უფროსი. 1941 წლის აგვისტოდან 1943 წლის 7 მაისამდე ამავდროულად იყო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომიარიატის რწმუნებული შორეულ აღმოსავლეთში. 1950 წლის 31 დეკემბრიდან 1951 წლის 10 ნოემბრამდე იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტოს კოლეგიის წევრი. 1951 წლის 3 იანვრიდან 13 ნოემბრამდე – საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს რკინიგზისა და საწყლოსნო ტრანსპორტის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი. 1951 წლის 26 აგვისტოდან 10 ნოემბრამდე – სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე, 1951 წლის 13 ნოემბრიდან 1952 წლის 15 თებერვლამდე – უზბეკეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, 1952 წლის 13 თებერვლიდან 20 ნოემბრამდე – საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე. 1952 წლის 13 თებერვლიდან 1953 წლის 5 მარტამდე იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კოლეგიის წევრი, 1952 წლის 19 თებერვლიდან 1953 წლის 5 მარტამდე – საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მე-3 მთავარი სამმართველოს უფროსი. 1952 წლის 20 ნოემბრიდან 1953 წლის 5 მარტამდე – სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე. 1953 წლის 11 მარტიდან 29 ივნისამდე – საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-3 სამმართელოს უფროსი. 1945 წლის 9 ივლისს, გენერალ-პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. 1953 წელს, საგანგებო მისიით, სერგო გოგლიძე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებოდა, სადაც იგი 3 ივლისს დააკავეს და მოსკოვში ჩამოიყვანეს. სერგო გოგლიძე რეპრესირებულ იქნა. 1953 წლის 23 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სასამართლომ მას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა. იგი დღემდე არ არის რეაბილიტირებული.

ცნობისათვის: მას ჰყავდა ძმები, ჭადრაკის დიდოსტატი ვიქტორი (1905-1964) და ვლადიმერი (1908-1942), რომელიც ომში დაიღუპა. 1936-1953 წლებში, ვიქტორი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი იყო. 1954 წლიდან გახსნა საჭადრაკო სკოლა და არაერთი დიდოსტატი აღზარდა. სერგო გოგლიძე დაქორწინებული იყო ორჯერ. პირველი ოჯახი მიატოვა 1934 წელს და ნათესავების გადმოცემის თანახმად, მას შემდეგ მათთან არანაირი კონტაქტი არ ჰქონია და ისინი არც ერთხელ არ უნახავს. ამის მიუხედავად, 1954 წელს, სერგო გოგლიძის შვილი, ვლადიმერი დააკავეს და ყაზახეთში გადაასახლეს. სერგო გოგლიძის ძმიშვილის ცნობით, ვლადიმერი 1972 წელს, ბათუმში გარდაიცვალა...

როცა გოგლიძე ხაბაროვსკში გაუშვეს სამუშაოდ, დაევალა, რომ ყურადღება მიექცია ოქროს კარიერებზე ძვირფასი ლითონის მოპოვების პროცესისთვის, რადგან არსებობდა სერიოზული ეჭვი, რომ ოქრო არალეგალური გზებით გადიოდა და შავ ბაზარზე ხვდებოდა. გოგლიძის დანიშვნის შემდეგ, ოქროს მოპოვება გაორმაგდა და მან ეს იმით ახსნა, რომ ოქროს მოპარვა აღკვეთა. არაერთხელ, თავად სტალინმა მაგალთად მოიყვანა, თუ როგორ გამოასწორა გოგლიძემ მდგომარეობა ხაბაროვსკში და მხოლოდ წლების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ რეალურად, მან ყველა გზა ერთადერთი მიზნისთვის ჩაკეტა – ოქროს მთავარი მომპარავი და გამსაღებელი თავად გახდა. მერეც, როცა დახვრიტეს, საბჭოთა კანონების მიხედვით, მისი ქონება მთლიანად კონფისკაციას დაექვემდებარა. გოგლიძის ქვრივმა, ევლალია ფიოდოროვნამ მოახერხა და ნიკიტა ხრუშჩოვს სთხოვა, სახლიდან მხოლოდ ორი ჩემოდნის წაღების უფლება მომეცი, ოჯახურ ნივთებს გავიტანო. ხრუშჩოვმა არა მარტო ამის ნება დართო, არამედ, ქმრის საბანკო ანგარიშზე არსებული 160 ათასი მანეთიც დედა-შვილს დაუტოვა. როგორც ამბობენ, ქალებმა სახლიდან ოქროს კარიერიდან მოპარული ოქრო გაიტანეს... ჰო, ორი ჩემოდანი ოქრო.

მას შემდეგ, დედა-შვილს არსად უმუშავია, მათ აგარაკი შეიძინეს მოსკოვის გარეუბანში, დაიქირავეს მოსამსახურე და სახლიდან თითქმის არ გადიოდნენ. ეს მოსამსახურე მათ 1983 წლამდე ემსახურებოდა, მერე კი გარდაიცვალა და ქალებმა ახალი მოსამსახურე იპოვეს, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე. სწორედ მას წამოსცდა ქმართან, რომ ქალები ძალიან დიდ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ და როცა ფული გამოელეოდათ, გოგონას რაღაც ოქროსფერ ფხვნილს აძლევდნენ, რომელიც მას კონკრეტულ იუველირთან მიჰქონდა და ის იუველირი ამ ფხვნილში ათასებს აძლევდა. მოსამსახურე ქმარს იმასაც მოუყვა, რომ აღნიშნული ფხვნილით სავსე ჩემოდანი მან რამდენჯერმე ნახა, მაგრამ ვერ გაარკვია, რა იყო და არც ის იცოდა, სად უნდა გაეყიდა.

ქმარი, რომელსაც ზურგს ორი ნასამართლეობა უმაგრებდა, მაშინვე მიხვდა, რა ფხვნილზე იყო საუბარი. რეალურად, ეს ოქროს ქვიშა გახლდათ, რომელიც წლების განმავლობაში გოგლიძემ დააგროვა ხაბაროვსკში და... როცა სამართალდამცავები ადგილზე მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ სახლიდან არაფერი არ იყო წაღებული და მოსამსახურემ მხოლოდ ის ჩემოდანი მოისაკლისა, რომელშიც უცნაური ფხვნილი ეყარა. საინტერესოა ისიც, რომ მოსამსახურეს წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ ჩემოდანი მისმა ქმარმა მოიპარა, მაგრამ ამაში მაშინ დარწმუნდა, როცა სამართალდამცავებმა მის ქმარზე ძებნა გამოაცხადეს, თუმცა საბჭოთა კავშირი ისე დაიშალა, ვერც იმ ჩემოდანს მიაგნეს და ვერც – კაცს. ამბობენ, მან მოახერხა და საბჭოთა კავშირი დატოვა, თუმცა როგორ და რა გზებით, არავინ უწყის. რა თქმა უნდა, როცა დედა-შვილი გარდაიცვალა, რუსულმა მხარემ საქართველოში გოგლიძის ნათესავები დაძებნა, რათა მათთვის მემკვიდრეობა გადაეცა, თუმცა საქართველოში მალე ჩამოვიდა ბრძანება, სადაც მითითებული იყო, რომ სერგო გოგლიძის ნათესავების ძებნა შეეწყვიტათ ერთადერთი მიზეზით – მის ქვრივს ქმარზე უარი ჰქონდა ნათქვამი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას უარი მის ნათესავებზეც ჰქონდა გაცხადებული. ეს იყო ოფიციალური მიზეზი, არაოფიციალურად კი, მოკლულების სახლში, სამამულო ომის დროს დაკარგული არაერთი ძვირფასი ნივთი აღმოაჩინეს, მათ შორის, ნახატები, საიუველირო ნაკეთობები, რომლებზეც მძარცველებს ხელი არ ჰქონდათ დადებული, რითიც კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ქალები მხოლოდ ჩემოდნის გამო მოკლეს, ჩემოდნის, რომელშიც ყველაზე უხეში დათვლებით, 18-დან 25 კილომდე ოქროს ქვიშა იყო შენახული.

პოლიციამ აჭარაში მომხდარ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1959 წელს დაბადებული ლ.ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10– დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს, სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა 1982 წელს დაბადებული თ. ჯ.

პოლიციამ ლ.ბ. ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ გურიაში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი, 1955 წელს დაბადებული, მ.წ. დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1975 წელს დაბადებულ ზ.წ.-ს, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი სააავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც იგი მომხდარიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

ჩატარებული ოპერატიული ღოინისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის დელეგაცია ოფიციალური სამუშაო ვიზიტით ეწვია



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოფიციალური ვიზიტით, ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის დელეგაცია, საზღვრის დაცვის უფროსის, გენერალ გუნტის პუატსის ხელმძღვანელობით ეწვია. დელეგაციის წევრებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა უმასპინძლა. შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ შარაძე და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე.

შეხვედრაზე ლატვიის დელეგაციის ხელმძღვანელმა, მინისტრის მოადგილეს საქართველოში ახლადდანიშნული მიგრაციის მეკავშირე ოფიცერი რაიტის ტილიკსი წარუდგინა. მხარეებმა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული ურთიერთობის მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. გიორგი ბუთხუზმა აღნიშნა, რომ ქართული მხარე განსაკუთრებით აფასებს ლატვიის რესპუბლიკასთან არსებულ ეფექტიან და ნაყოფიერ თანამშრომლობას. მან, ასევე, შეხვედრაზე ხაზი გაუსვა საზღვრის დაცვის სფეროში არსებული ორმხრივი თანამშრომლობის მაღალ დონეს და დელეგაციის ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა აღნიშნულ სფეროში განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის.

ვიზიტის ფარგლებში, სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ შარაძემ და ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის უფროსმა გუნტის პუატსმა ხელი მოაწერეს პარტნიორობის ხელშეკრულებას – „ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასაზღვრო პოლიციას შორის თანამშრომლობის შესახებ“.

დელეგაციის წევრები, ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსაც ეწვივნენ. ამასთან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ინფორმაცია მიიღეს პოლიციის შესაბამისი დანაყოფების საქმიანობის შესახებ. ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე, მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ საერთო ძალისხმევითა და ინტენსიური თანამშრომლობით, შესაძლებელი გახდება ორი უწყების შესაძლებლობების კიდევ უფრო გაძლიერება და განვითარება.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო, დაკავებულია ცხრა პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია ცხრა პირი. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1987 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი, ვ.მ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილიდან მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 8 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ამავე ბრალდებით, 1996 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ბ. თბილისში დააკავეს. საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის დანახვისას, ბრალდებულმა ცეცხლსასროლი იარაღი, თავიდან მოშორების მიზნით, ავტომობილის ფანჯრიდან გადააგდო. სამართალდამცველებმა აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1975 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.ხ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, პისტოლეტი, მჭიდი და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო. კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანისა და ახმეტის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევი ორი პირი: 1984 წელს დაბადებული გ.ა. და 1986 წელს დაბადებული კ.ჭ. ცეცხლსასროლი იარაღის, ასევე, „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ გ.ა.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცების სახით ამოიღო: გადაჭრილი სანადირო თოფი, 2 ვაზნა და ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“, ხოლო კ.ჭ.-ის საცხოვრებელი სახლის და ეზოში არსებული სათავსოს ჩხრეკის შედეგად, სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი და გამომშრალი „მარიხუანა“. ამავე დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტსა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან ერთად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.ჯ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების, ასევე, სახელმწიფო ნაკრძალში უკანონო ნადირობის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი, 45 ვაზნა, სანადირო თოფი, აგრეთვე, ბრალდებულის მიერ ნანადირევი იშვიათი ჯიშის კავკასიური ჯიხვი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ზ.თ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 1 ვაზნა. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კი 1978 წელს დაბადებული მ.დ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 2 მჭიდი და 66 ვაზნა. რაც შეეხება 1969 წელს დაბადებულ რ.ი.-ს, იგი აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ბათუმში დააკავეს. სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს რ.ი.-ს მიერ უკანონოდ შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და 8 ვაზნა. დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 273-ე და 301-ე მუხლებით მიმდინარეობს.

მდიდრებიც ტირიან ანუ ფეხბურთი მხოლოდ დიდების თამაში არ არის

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი ისე მიმდინარეობს, ნუ გაგიკვრიდებათ, თუ ერთმანეთს ფინალში ხორვატია და მაროკო შეხვდებიან. ჰო, ერთი შეხედვით, ყველაფერი ეს ძალიან უცნაურია, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ერთი ან მეორე ნაკრები ნახევარფინალში დაუმსახურებლად გავიდა. ეს განსაკუთრებით მაროკოზე ითქმის, ნაკრებზე, რომლის წარმატებასაც არავინ ელოდა, მაგრამ გუნდში დისციპლინა უმაღლეს დონეზეა და... შესაძლოა, ბევრს ისიც არ ახსოვს, რომ ჯგუფურ ეტაპზე, ხორვატია და მაროკო ერთ – F ჯგუფში იყვნენ და მათი შეხვედრა უგოლოდ დასრულდა.

რაც შეეხება მუნდიალის ან უკვე ყოფილ ფავორიტებს. ჯერ ბრაზილიაზე ვთქვათ, გუნდზე, რომელმაც ჯგუფურ ეტაპზე საოცარი შთაბეჭდილება დატოვა. ბრაზილიელი ფეხბურთელები ლაღად თამაშობდნენ, გოლის შემდეგ კი იმდენს ცეკვავდნენ, ლეგენდარული ირლანდიელი ვეტერანი როი კინი შეწუხდა და ისიც კი თქვა, თავი „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მგონიაო. საბოლოოდ, ბრაზილიამ რაღაც ვერ გათვალა და დამარცხდა. შედეგად, ბრაზილიამ ანტირეკორდი გაიმეორა. მათ მუნდიალი ხუთჯერ აქვთ მოგებული და მანამდე, ყველაზე დიდი, 24-წლიანი წყვეტა 1970-დან 1994 წლამდე ჰქონდათ, ახლა კი 2026 წლამდე ვერ მოიგებენ ტიტულს, ბოლოს კი „ნიკეს“ თასი 2022 წელს აღმართეს.

ზედიზედ მეორე მუნდიალზე ჩარჩა ჯგუფში გერმანიის ნაკრები და ეს იმდენად დიდი ტრაგედია გახდა გერმანელებისთვის, რომ საფეხბურთო კავშირი ჩემპიონატის დასრულებას არ დაელოდა და სხდომა გამართა, სადაც ჩავარდნის მიზეზებზე იმსჯელა. ერთ-ერთ მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად.. ქალი დასახელდა... როგორც ხშირად ხდება ხოლმე, „შეღ შე ლა ფამ“ ანუ ეძებე ქალი. გაირკვა, რომ ესპანელებთან ფრედ ნათამაშები შეხვედრის შემდეგ, ალემანებმა სასტუმროში ღრეობა მოაწყვეს და მეგობარი გოგონები მიიყვანეს. ვარჯიშს ვინ ჩივის, ორი დღე ნომრებიდან არ გამოსულან და ჩუმად ჩატანილი ალკოჰოლიც მიიღეს. შედეგად, გერმანია დამარცხდა და შინ დაგეგმილზე ძალიან ადრე გაემგზავრა.

რაღაც ვერ გათვალა ესპანეთმაც. მართალია, ლუის ენრიკეს (რომელმაც ბრაზილიელთა ნაკრების თავკაცის დარად, პოსტი უკვე დატოვა) ანამუსებდნენ, სერხიო რამოსი და დავიდ დე ხეა რომ არ წაიყვანე, დაისჯებიო, მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო მიზეზი. მწვრთნელი ჯიუტად ენდობოდა ფერან ტორესსა და გავის, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ზედმეტად ახალგაზრდა ფეხბურთელებს, მაგრამ გავის საკუთარ აღმოჩენად თვლის, ფერან ტორესი კი... ლუის ენრიკეს სასიძოა, მის ქალიშვილს ხვდება და... ასეა თუ ისე, ესპანეთისგან ყველა აშკარად მეტს ელოდა.

პორტუგალია და რონალდუ. 37 წლის ვეტერანი ბოლო ორ შეხვედრაში მწვრთნელმა სათადარიგოთა შორის დასვა და შეცვლაზე შეუშვა. არადა, 20 წლის განმავლობაში, რონალდუ გუნდის ლიდერი იყო, ის გახლავთ ერთადერთი ფეხბურთელი მსოფლიოში, რომელმაც მსოფლიოს ხუთ სხვადასხვა ჩემპიონატზე შეძლო გოლის გატანა და მისი ასე მარტივად ამოგდება არ გამოვიდოდა. აკი, არც გამოვიდა, რონალდუს გარეშე მოთამაშე პორტუგალია უთავო მხედარს ჰგავდა და გავარდნის შემდეგ ატირებული კრიშტიანუს ცრემლებიც ისტორიის კუთვნილება გახდა. ისე, რონალდუ ახლა ატირდა, თორემ 1 იანვრიდან, ყატარულ კლუბთან ხელშეკრულებას აფორმებს, ბურთს კიდევ ორწელიწადნახევარი გააგორებს და ამ ხნის განმავლობაში, ნახევარ მილიარდ დოლარს მიიღებს ანუ წელიწადში – 200 მილიონს, რაც ყველა დროის რეკორდია. 37 წლის ვეტერანი ამდენს რომ შოულობს და შენ კიდევ თადარიგში ტოვებ, მოსახსნელი ხარ! პორტუგალიელთა თავკაცი ჯერ არ მოუხსნიათ და წასვლაზე განცხადების გაკეთებას ჯერჯერობით არც თავად აპირებს.

რეალურად, მსოფლიოს ჩემპიონატს მხოლოდ ორი ისეთი ნაკრები შემორჩა, რომლებიც ფავორიტებად თავიდანვე მოიაზრებოდნენ. არგენტინა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი – საფრანგეთი დასახული მიზნისკენ ჯიუტად მიიწევენ. საფეხბურთო სამყაროს ის აინტერესებს, მოიგებს თუ არა მუნდიალს ყველაფრის მომგები ლიონელ მესი და თუ მოიგებს, მაშინ დიეგო მარადონას მართლაც დაეტოლება. ისე, სტატისტიკოსებმა დათვალეს და გაარკვიეს, რომ მესის წინააღმდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატებზე 65-ჯერ დაჯარიმდნენ, რაც ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგია. იმის მიუხედავად, რომ ლეოს წინ კიდევ ორი მატჩი აქვს, ამ შედეგის გაუმჯობესება გაუჭირდება, რადგან პირველზე სწორედ მარადონაა – ლეგენდარული დიეგოს წინააღმდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატებზე, მეტოქე გუნდის ფეხბურთელები, საერთო ჯამში, 152-ჯერ დაჯარიმდნენ.

და ერთიც – მაროკო პირველი აფრიკული ნაკრებია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გააღწია და ერთადერთი ნაკრებია, რომელსაც მიმდინარე მუნდიალზე, პლეი-ოფში ჯერ გოლი არ გაუშვია.

P.S. არგენტინა-ნიდერლანდების მატჩის მსვლელობისას, ამერიკელი ჟურნალისტი, გრანტ უოლი გარდაიცვალა. უოლი სპორტულმა სამყარომ კარგად მაშინ გაიცნო, როცა დევიდ ბექჰემის შესახებ წიგნი დაწერა და უზარმაზარი ტირაჟით გაყიდა. შეხვედრა მართლაც საინტერესო გამოდგა, არგენტინა 83-ე წუთამდე, 2:0-ს იგებდა, საბოლოოდ კი შეხვედრაში პენალტების სერია დაინიშნა...

თოფურია დაუმარცხებელია, დვალიშვილი – უკვე სათამაშო

„დღეს ილია ბრწყინვალე იყო. მიტჩელთან შეხვედრაში მისი სრული დომინირება ვნახეთ. ის ძალიან მაგარი ბიჭია, კარგად იბრძვის და ყველაფერს შესანიშნავად ასრულებს. ეს ბავშვი ქვემსუბუქი წონის მე-14 ადგილზე იყო, ახლა კი, ტოპ-10-ში შევიდა. დარწმუნებული ვარ, მას ქამრის მოგება სურს და საამისოდ წინ მიიწევს“, – განაცხადა UFC-ს პრეზიდენტმა, დანა უაითმა.

პარალელურად, ქართველებისთვის კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. EA Sport-ის ყველაზე პოპულარულ და წარმატებულ თამაშში მერაბ დვალიშვილი დაამატეს.

საინტერესოა, რომ ქართველ მებრძოლს თამაშში საკმაოდ კარგი მონაცემები აქვს. მისი გრეპლინგი 4.5 ვარსკვლავით შეფასდა, სტრაიკინგი – 4-ით, ხოლო გამძლეობა – 4.5-ით. საერთო ჯამში, მერაბის რეიტინგი მაქსიმალური 5-დან – 4.5-ია.

„ოფიციალურად, UFC 4-ის თამაშში დამატებული ვარ, უკვე შეგიძლიათ, ითამაშოთ ჩემით“, – დაწერა სოციალურ ქსელში დვალიშვილიმ.

ცნობისათვის, დვალიშვილი მეორე ქართველია, რომელიც აღნიშნულ თამაშშია. მანამდე, თამაშის შემქმნელებმა ვირტუარულ მებრძოლთა შორის, გიგა ჭიკაძე შეიყვანეს.

გასულ კვირაში, UFC 282-ზე, ქართველმა მებრძოლმა ილია თოფურიამ ბრაის მიტჩელი დაამარცხა. შეხვედრა ძალიან საინტერესო რომ იქნებოდა, იქიდანაც ჩანდა, რომ რინგზე გასულ ორივე მებრძოლს წაგება არ ჰქონდა – მიტჩელს 15 შეხვედრიდან – 15 გამარჯვება, თოფურიას კი, 12 ბრძლიდან – 12 მოგება. ყველასთვის მოულოდნელად, ბრძოლა ქართველის უდიდესი უპირატესობით წარიმართა. აშკარა იყო, რომ ილია შეხვედრისთვის ბევრად მომზადებული გახლდათ და მიტჩელის მარცხი უბრალოდ დროის ამბავი გახლდათ.

მართლაც, მეორე რაუნდში, რამდენიმე ძლიერი დარტყმის გაშვების შემდეგ, მიტჩელი დაეცა და თოფურიამ მახრჩობელა ილეთით იმარჯვა.

კვარაცხელია დაბრუნდა, დავითაშვილიც იტალიაში?

სანამ მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, ევროპულ ფეხბურთში შესვენებაა და კლუბები შეკრებას გადიან. ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლი“ თურქეთში იმყოფება და ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა. იტალიურმა კლუბმა ორივე მატჩი მოიგო, მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესო ის გახლავთ, რომ ქართველი შემტევი სრულად გამოჯანმრთელდა და ორივე შეხვედრაში ითამაშა. როგორც კლუბის ექიმები ამბობენ, ხვიჩამ ტრავმა ბოლომდე მოირჩინა და მზადაა, გუნდს ოფიციალურ შეხვედრებში დაეხმაროს, რაც ძალიან კარგია. ჰო, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი – ვარჯიშის შემდეგ, „ნაპოლის“ ფეხბურთელებთან ავტოგრაფებისთვის ბავშვები მივიდნენ და ხვიჩას დანახვაზე ერთხმად დაიწყეს სკანდირება – „დიეგო, დიეგო!“

კვარაცხელიას წარმატებულმა ასპარეზობამ იტალიაში ქართველთა მიმართ ინტერესი გაზარდა. იტალიური კლუბების წარმომადგენლები, ჩვენებურებს, როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, ისე – ევროსარბიელზე აკვირდებიან და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ სეზონის ბოლოს, აპენინებზე ზურიკო დავითაშვილიც წავიდეს. მისი დამატების სურვილი „ტორინომ“ გამოთქვა, თუმცა საკითხავია, შეელევა თუ არა მას ფრანგული „ბორდო“. დავითაშვილი ბათუმის „დინამოს“ საკუთრებაა და „ბორდოში“ იჯარით თამაშობს, თუმცა ჟირონდიელები არ მალავენ, რომ მისი დამატების სურვილი აქვთ. „ბორდო“ საფრანგეთის ჩემპიონატის რანგით მეორე ლიგაშია, თუმცა ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ სეზონის ბოლოს, პირველი დივიზიონის საგზურს მოიპოვებს. ჰოდა, შემდეგ უკვე დავითაშვილის გადასაწყვეტი იქნება, კარიერას იტალიაში გააგრძელებს, თუ კვლავ საფრანგეთში დარჩება. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, გამორიცხულია, ზურიკო საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნდეს.

რისი გაკეთება შეიძლება ერთ წამში?

ის, რაც გასულ უქმეებზე, NBA-ში მოხდა, ვინმეს რომ ევარაუდა, გიჟად ჩათვლიდნენ. ერთმანეთს „ატლანტა ჰოუქსი“ და „ჩიკაგო ბულზი“ ხვდებოდნენ და შეხვედრა ფრედ დასრულდა. ოვერტაიმის ამოწურვამდე 1 წამით ადრე კი „ატლანტა“ 121:119-ს იგებდა. ერთი წამი ძალიან, ძალიან დიდი დრო აღმოჩნდა, რადგან შეხვედრა იმავე „ატლანტას“ სასარგებლოდ, 123:122 დასრულდა ანუ გუნდებმა ერთ წამში 5 ქულა ჩააგდეს. როგორ?

როგორ და, „ჩიკაგოს“ კალათბურთელმა ბურთი მიიღო თუ არა, სამქულიანი გაუშვა და მართალია, ბურთი არ ჩავარდა, მასზე მეტოქე დაჯარიმდა და რადგანაც სროლა სამიანი იყო, მსაჯმა სამი საჯარიმო დანიშნა. „ჩიკაგოელმა“ სამივე გამოიყენა და მისი გუნდი წინ გავიდა – 122:121. „ატლანტას“ ბურთის გასათამაშებლად 0.5 წამი ჰქონდა დარჩენილი, რაც პასის გასაკეთებლად და ზუსტი სროლისთვის ეყო.

შიში, უიმედობა, კონცენტრაციის დაქვეითება – რა სიმპტომებით ვლინდება პოსტკოვიდური დეპრესია

ლიკა თორთლაძე

ინტერვიუ ფსიქიატრთან, რომელიც აუცილებლად უნდა წაიკითხოთ!

კორონავირუსის პანდემიამ ადამიანების ცხოვრება მრავალმხრივ შეცვალა და როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნაში, საქართველოშიც ეკონომიკური პრობლემების, სირთულეებისა და უდიდესი გამოწვევების მიზეზი გახდა. მიუხედავად დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისა, საზოგადოების გარკვეული ნაწილი სამსახურს მიღმა დარჩა, შესაბამისად, ამან ადამიანებში, დაინფიცირების შიშთან ერთად, სტრესიც გაზარდა. ასევე, დიდი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა მოსახლეობის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელიც ბევრისთვის დამატებითი შფოთვის მიზეზად იქცა. სწორედ ამიტომ, პანდემიის დასრულების შემდეგ, მსოფლიოს მასშტაბით, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა პოსტკოვიდური სტრესი და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებაა. ის, რასაც ადამიანები კოვიდის გადატანის შემდგომ ყველაზე ხშირად უჩივიან, მეხსიერების გაუარესება, უძილობა და კონცენტრაციის დაქვეითებაა. იმის შესახებ, თუ რა ზიანი მიაყენა კორონავირუსმა თავის ტვინსა და ნერვულ სისტემას, ასევე, როგორ უნდა გავუმკლავდეთ პოსტკოვიდურ სტრესსა და დეპრესიას, „ვერსია“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტს, ფსიქიატრ დიანა ვერძაძეს ესაუბრა:

– რა ზეგავლენას ახდენს COVID-19 ადამიანების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და რა სახის სიმპტომები ჩნდება ვირუსის გადატანის შემდგომ?

– მოგეხსენებათ, უკვე მესამე წელია, კორონავირუსი მძვინვარებს. მსოფლიო მასშტაბით, არაერთი კვლევა ჩატარდა იმასთან დაკავშირებით, რომ COVID-19 აზიანებს არა მხოლოდ რესპირატორულ სისტემას, არამედ, ძალიან დიდ გავლენას ახდენს ნერვულ სისტემასა და თავის ტვინზეც. აქედან გამომდინარე, ვირუსის გადატანიდან გარკვეულ პერიოდში, ისეთი სიმპტომები ჩნდებიან, როგორებიცაა დაქვეითებული გუნება-განწყობა, მომავლის შიში, უიმედობის განცდა, ყურადღებისა და კონცენტრაციის დაქვეითება.

– რატომ აყენებს კორონავირუსი ზიანს თავის ტვინს?

– კვლევებით, ერთი საინტერესო ფაქტი დადასტურდა – ცხვირ-ხახაში შეჭრის შემდგომ, ყნოსვის ნერვის გაყოლებით, ვირუსი თავის ტვინამდე აღწევს და სწორედ იმ უბანში ხვდება, რომელიც პასუხისმგებელია სხვადასხვა ქცევებზე, გუნება-განწყობაზე, ძილსა და მადაზე. მენტალური პრობლემებიდან, COVID-19-ის დროს, ყველაზე მეტად გამოიკვეთა დეპრესია და შფოთვითი აშლილობა. შესაძლოა, აღნიშნული პრობლემები ჰქონოდა ადამიანს და კორონავირუსის შემდგომ უფრო გამწვავდა, ან მანამდე არ აღენიშნებოდა და დაავადების შემდეგ გამოუვლინდა. კვლევებით, კორონავირუსის შემდეგ, მენტალური პრობლემები 12%-ით გაიზარდა. ხშირად გვეკითხებიან, განსხვავდება თუ არა ჩვეულებრივი დეპრესია პოსტკოვიდური დეპრესიისგან? კვლევების მიხედვით, COVID-19-ის შემდგომ, დეპრესიის მაჩვენებელმა 50% ით მოიმატა. რაც შეეხება განსხვავებას, დეპრესია იმ სიმპტომების ერთიანობაა, რომელიც გრძელდება ორ კვირაზე მეტხანს. ეს სიმპტომებია: დაქვეითებული გუნება-განწყობა,უმადობა, ან პირიქით – მადის მომატება, ძილის დარღვევა, შფოთვის განცდა, მომავლის ვერხედვა, უიმედობის განცდა, დაქვეითებული კონცენტრაცია და სუიციდური აზრები. უშუალოდ, სიმპტომების მხრივ, განსხვავება არ აღინიშნება, თუმცა ამ შემთხვევაში, დეპრესიის გამომწვევია კორონავირუსი, დაავადების მიმდინარეობა და ხანგრძლივობა კი, შესაძლოა, მცირედით განსხვავდებოდეს.

– ვირუსის გადატანიდან, რამდენ ხანში ვლინდება დარღვევები და ემთხვევა თუ არა ერთმანეთს პაციენტების გამოცდილება?

– როდესაც დარღვევაზე ვსაუბრობთ, საყურადღებოა, განვიხილოთ პირებში, რომლებმაც გადაიტანეს COVID-19 და რომლებსაც არ გადაუტნიათ. ცალკე მინდა აღვნიშნო ემოციური გადაწვა, რომელიც ყველაზე ხშირად, მედპერსონალისთვის იყო დამახასიათებელი. ის დაახლოებით, მეორე ტალღის დასრულებიდან, რამდენიმე თვეში გამოვლინდა. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ, რომლებიც კორონავირუსით დაინფიცირებული ადამიანების გამოსაჯანმრთელებლად და გადასარჩენად იბრძოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანებს, დაინფიცირებიდან სამ-ოთხ დღეში დაეწყოთ შფოთვა, ხოლო სამ-ოთხ თვეში – გამოვლინდა დეპრესიული სიმპტომატიკა. ზოგიერთ მათგანს პანდემიის დაწყებისთანავე გამოუვლინდა და შემდეგ გაუგრძელდა შფოთვა. ძალიან ბევრ პირში, აღნიშნულმა ვირუსმა დატოვა უძილობის პრობლემა, მეხსიერებისა და კონცენტრაციის დაქვეითება. როდესაც აშლილობებზე ვსაუბრობთ, აუცილებელად უნდა ვისაუბროთ ინდივიდუალურად, პიროვნებებზე. გვყავს პაციენტები, რომლებსაც აღნიშნული სიმპტომები გამოუჩნდათ COVID-19-ის გადატანიდან, ზუსტად სამ დღეში ან ერთ თვეში. გარდა ამისა, ისეთებიც შეგვხვდნენ, რომლებმაც თქვეს, რომ კორონავირუსის გადატანიდან მეორე-მესამე დღეს, უკვე მეხსიერების პრობლემები შენიშნეს.

– როდის დაიწყო აქტიური კვლევა ამ საკითხზე და რა კვლევები ჩატარდა საქართველოს მასშტაბით?

– კვლევები, რომლებიც ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა და ახლაც გრძელდება, 2020 წლის ივნისიდან დაიწყეს. მსოფლიო მასშტაბით, კვლევები ეხება იმას, თუ როგორ იმოქმედა COVID-19-მა ადამიანის მენტალურ ჯანმრთელობაზე. რაც შეეხება საქართველოში ჩატარებულ კვლევებს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაავადების კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად და ფონდთან – „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“, ჩაატარა კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიცვალა მენტალური ჯანმრთელობა პანდემიურ პირობებში. როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მენტალური პრობლემების მაჩვენებელი საქართველოშიც საგრძნობლად გაიზარდა. აღნიშნულ თემატიკაზე, 2020 წლის მაის-ივნისში, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ფარგლებში, ბატონი გუგა სიხარულიძის ხელმძღვანელობით, „სტრესის მართვისა და მენტალური ჯანმრთელობის ცენტრმა“ ჩაატარა კვლევა. ინტერვიუს დასაწყისში ვახსენე ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა. აღნიშნულ თემატიკაზე საქართველოში არ გვაქვს სტატისტიკური მაჩვენებელი, სწორედ ამიტომ, მე და ჩემმა ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ზურაბაშვილმა, გადავწყვიტეთ, ჩაგვეტარებინა კვლევა და ჩვენი სადოქტოროს ნაშრომის მთავარ თემატიკად ავირჩიეთ „COVID-19-ის როლი ობსესიურ-კომპულსიურ აშლილობაში“.

– პოსტკოვიდური აშლილობისაგან სრულად გამოჯანმრთელება შესაძლებელია? მაგალითად, თუ პანდემიის შედეგად, ადამიანს დაუქვეითდა მეხსიერებისა და კონცეტრაციის უნარი, არსებობს იმის მცირედი ალბათობა, რომ სამუდამო ზიანი მიადგეს მის ფსიქიკასა და თავის ტვინს?

– დეპრესია და შფოთვითი აშლილობა აბსოლუტურად ექვემდებარება მკურნალობას. როდესაც ეს პრობლემები კორონავირუსის შემდგომ იჩენს თავს, ვმკურნალობთ ანალოგიურად, სიმპტომების მიხედვით. ეს მოიაზრებს, როგორც მედიკამენტურ მკურნალობას, ასევე ფსიქოთერაპიას და იგივე ეხება ინსომნიას ანუ ძილის დარღვევას. რაც შეეხება მეხსიერებისა და კონცენტრაციის პრობლემებს, სამწლიანი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ექვემდებარება თავისთავად აღდგენას, მაგრამ შესაძლოა, დროში გაჭიანურდეს. ერთი კონკრეტული პაციენტის შემთხვევაში, მეხსიერება – ორ თვეში, ხოლო მეორეს – ერთ წელიწადში აღუდგა. რით შემიძლია მივეხმარო ამ დროს, ჩემს ორგანიზმს, ჩემს თავის ტვინს? მეცნიერების მიერ მოწოდებული რეკომენდაციებით, კონცენტრაციისა და მეხსიერების აღსადგენად, ძალიან სასარგებლოა ლექსების დაზეპირება და კითხვა. დღეში ერთი ლექსის დაზეპირება და ასევე, ახალი უცხო ენის შესწავლა, დადებითად მოქმედებს აღნიშნული პრობლემების მოგვარებაზე.

რაც შეეხება დეპრესიას, შფოთვასა და სხვა მენტალურ პრობლემებს, ამ შემთხვევაში, უმჯობესი და აუცილებელიცაა, მიმართონ სპეციალისტს, რადგან კონკრეტული პრობლემები თავისით მოგვარებასა და აღდგენას არ ექვემდებარებიან.

ფოსტას უპილოტოები მოემსახურებიან

იაპონიის ფოსტის წარმომადგენლები იუწყებიან, რომ მომავალ საფინანსო წელს, რომელიც 2023 წლის აპრილიდან დაიწყება, წერილებსა და ამანათებს უპილოტო საფრენი აპარატები დაარიგებენ. საუბარია ამ მიზნისთვის სპეციალურად შექმნილ დრონებზე. მოწყობილობას შეუძლია, 35 კილომეტრის მანძილზე, ხუთ კილოგრამამდე წონის ტვირთი გადაიტანოს ამომავალი მზის ქვეყნის მთიან რეგიონებში. აღნიშნავენ, რომ მიწოდების ამ მეთოდს, ძირითადად, მთიანი რეგიონების ან შორეული კუნძულებისთვის გამოიყენებენ, სადაც ნაკლები კურიერია. ეს მომსახურება შესაძლებელი მას შემდეგ გახდა, რაც იაპონიის სამოქალაქო ავიაციის კანონში შესწორება შევიდა და უპილოტო საფრენ აპარატებს საცხოვრებელ ზონებში ფრენის შესაძლებლობა მიეცა.

მომავალი წლის ფერი დაადგინეს

ფერის ინსტიტუტმა Pantone-მა ახალი, 2023 წლის ფერი დაასახელა. ეს არის გაბედული Viva Magenta, რომელიც კაშკაშა ვარდისფერ-ჟოლოსფერია, იისფერი ელფერით. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტ ლორი პრესმანის თქმით, ის ბუნებას, ენერგიას უკავშირდება, რის გამოც ყველაზე მეტად შემოქმედებასა და ხელოვნებასთან ასოციაციას იწვევს. Viva Magenta აღადგენს კავშირს თავდაპირველ მატერიასთან. ბუნების ძალების მეშვეობით, ეს კაშკაშა ფერი მუხტავს ჩვენს სულს და შინაგანი ძალების გაკაჟებაში გვეხმარება, – აცხადებს ფერის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ლეატრის ეისმანი. Pantone წლის ფერს 2000 წლიდან ასახელებს, რაც არც ისე მარტივი საქმეა. ინსტიტუტის სპეციალისტები ჯერ კიდევ გაზაფხულიდან ატარებენ კვლევებს და ირჩევენ მთავარ ფერს.

სად ცხოვრობენ ყველაზე გულუხვები

ინდონეზიის მცხოვრებლები მსოფლიოში ყველაზე გულუხვები არიან, – ესაა არაკომერციული ორგანიზაცია Charities Aid Foundation-ის სპეციალისტების დასკვნა. კვლევისას, მსოფლიოს 119 ქვეყნის მოსახლეობა ქველმოქმედებაში მონაწილეობის დონით შეაფასეს: დაეხმარნენ თუ არა ისინი ბოლო თვის განმავლობაში უცხოელს, რომელსაც დახმარება სჭირდებოდა, გაიღეს თუ არა თანხა, ყოფილან თუ არა მოხალისეები რომელიმე ორგანიზაციაში და სხვა. რეიტინგის ლიდერი ქვეყნის რესპონდენტთა 84%-მა განაცხადა, რომ გაუღიათ თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის. ალბათ, ეს იმით აიხსნება, რომ ინდონეზიის მოსახლეობა ძალიან რელიგიურია და მორწმუნეებს სიკეთის კეთებისკენ მოუწოდებენ. გულუხვი ქვეყნების სიაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა კენია. მიუხედავად პანდემიითა და ინფლაციით გამოწვეული სიძნელეებისა, კენიელები მზად არიან, დაეხმარონ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს. ამ შემთხვევაშიც, ძირითადი მიზეზი რელიგიაა. ლიდერთა სამეულშია აშშ-ც, ხოლო მეოთხე-მეხუთე ადგილებზე – ავსტრალია და ახალი ზელანდია.

ალკოჰოლიზმს სამაჯური შეებრძოლება

ფინელმა სწავლულებმა აალტოს უნივერსიტეტიდან, სპეციალური მოწყობილობა შეიმუშავა, რომელიც ალკოჰოლიზმს უნდა შეებრძოლოს. ეს მოწყობილობა სამაჯურია, რომელიც მკლავზე სასიამოვნო დარტყმების იმიტაციას ახდენს. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ეს ხელს უწყობს ორგანიზმში დოფამინისა და ოქსიტოცინის გამოყოფას, რაც ხელსაწყოს მფლობელში სიამოვნების შეგრძნებას იწვევს. ეს ყველაფერი კი ადამიანის სტრესისადმი წინააღმდეგობას ზრდის და ეხმარება მას დამოკიდებულებისგან თავის დაღწევაში. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ შესაძლოა, სამაჯური ალკოჰოლზე დამოკიდებულების სრულფასოვანი თერაპიის მხოლოდ ნაწილი იყოს და არა მისი შემცვლელი. სწავლულთა ვარაუდით, მოწყობილობის გამოყენება სხვა დაავადების სამკურნალოდაც შეიძლება იყოს გამოყენებული.

კორონავირუსი ტვინს სწრაფად აბერებს



იმ მოზარდების ტვინს, რომელთაც კორონავირუსი გადაიტანეს, ნაადრევი დაბერების ნიშნები აღენიშნებათ, – ამტკიცებენ სწავლულები, სტენფორდის უნივერსიტეტიდან. მათი კვლევების შედეგები სამედიცინო ჟურნალ Biological Psychiatry-ში გამოქვეყნდა. მკვლევარებმა 81 მოზარდის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ფოტოები შეისწავლეს, რომელიც პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ გადაიღეს. დადგინდა, რომ მათი ტვინი სამი წლით დაბერებული იყო, რაც სწავლულების თქმით, გაცილებით მეტია, ვიდრე მათ ასაკში უნდა აღინიშნებოდეს. გარდა ამისა, „ლოქდაუნის“ შემდეგ, მკვლევარებმა მოზარდებს შფოთვისა და დეპრესიის შეტევებიც აღმოუჩინეს. მათი თქმით, მენტალური ჯანმრთელობის გაუარესებას ახლავს სტრესი, რაც ერთად იწვევს ცვლილებებს თავის ტვინის ქსოვილებში.

ფეხის ზომით რეკორდების წიგნში მოხვდა

აშშ-ს ქალაქ ჰიუსტონში მცხოვრები ტანია ჰერბერტი, რომლის სიმაღლეც ორ მეტრზე მეტია, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ყველაზე დიდი ზომის ფეხის მქონე ქალი. ჰერბერტი, დაახლოებით, 50 ზომის ფეხსაცმელს ატარებს. მისი მარჯვენა ტერფის სიგრძე 33 სანტიმეტრია, მარცხენასი კი – 32.4 სმ. ტანია სიმაღლეში 7.6 სანტიმეტრით ჩამორჩება დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე მაღალ ქალს, თურქ რუმეოსა გელგის, რომლის სიმაღლეც 2.16 სანტიმეტრია. რესკორდსმენი ამერიკელი აცხადებს, რომ ფეხსაცმელს ონლაინ უკვეთავს, რადგან მაღაზიებში მისი ზომა თითქმის არსად იყიდება.

კორეელები ერთი წლით გაახალგაზრდავდებიან

სამხრეთ კორეაში მიიღეს კანონი, რომელიც უარს ამბობს ასაკის დათვლის ტრადიციულ მეთოდზე. აქამდე, კორეაში მიიჩნეოდა, რომ დაბადებისას ბავშვს უკვე შეუსრულდა ერთი წელი. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ამ ტრადიციას მისდევდნენ არა მხოლოდ ოჯახურ ცხოვრებაში, არამედ, იყენებდნენ კიდეც ოფიციალურ დოკუმენტებში, ასაკის გამოთვლისას. შედეგად, სამხრეთ კორეის მცხოვრებნი საკუთარ ბიოლოგიურ ასაკზე ერთი წლით უფროსები იყვნენ. ამჯერად, ამ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის შეცვლა და საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა ქვეყნის არჩეულმა პრეზიდენტმა, იუნ სოკ ელმა მოინდომა და გაზაფხულზე განსახილველად პარლამენტს გადასცა. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კორეელები მეტად სერიოზულად აღიქვამენ ასაკის პრობლემას. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია გაიგონ, რამდენი წლის გახდა ადამიანი, ვიდრე მისი სახელი იცოდნენ, რადგან ბიოლოგიურ ასაკზეა დამოკიდებული ადამიანთან მიმართვის ფორმა. რამდენიმე დღის წინ მიღებული კანონით, ყველა კორეელი ერთი წლით გაახალგაზრდავდება.

ანტიბაქტერიული ბამბა შექმნეს

სპეციალისტებმა ანტიბაქტერიული ეფექტის მქონე ბამბა შეიმუშავეს. ამისთვის მათ ქსოვილი დაფარეს ლითონის ოქსიდის ნანონაწილაკებით, რომლებიც თრგუნავენ ბაქტერიებისა და სხვა რეზისტენტული მიკროორგანიზმების აქტივობას. სწავლულებმა დამატებითი დაცვისთვის ულტრაბგერითი დამუშავების ტექნოლოგია გამოიყენეს, რამაც შესაძლებელი გახადა ლითონის ნაწილაკების თანაბრად განაწილება. მასალის საბოლოო ხარისხი და გარეგნობა საერთოდ არ განსხვავდება ჩვეულებრივი ბამბისგან. მისი დამცავი საფარი სარეცხ მანქანაში, სულ ცოტა, 20 გარეცხვას მაინც უძლებს. სამთვიანი ცდები მკვლევარებმა ვიეტნამში ჩაატარეს, სადაც მაღალი ტენიანობა და ტემპერატურაა. ასეთი გარემო კი ხელს უწყობს პათოგენების გამრავლებას. ცდების შედეგ აღმოაჩინეს, რომ ახალ ქსოვილზე მიკროორგანიზმების რაოდენობა 30-100-ჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ჩვეულებრივ ბამბაზე.

ჭიქა ყავა სოცოცხლეს გვიხანგრძლივებს

ბევრ ადამიანს დღის დაწყება ფინჯანი ყავის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ამ არომატული სასმელის სასარგებლო თვისებებზე ბევრი თქმულა, თუმცა ამჯერად, სპეციალისტებმა კემბრიჯიდან განაცხადეს, რომ ყავა ყოველდღიურად სიცოცხლესაც გვიხანგრძლივებს. ამ გამამხნევებელ სასმელზე ორი ახალი კვლევა ჩატარდა, რომლებმაც აჩვენეს, რომ დღის განმავლობაში, ერთი ფინჯანი ყავის მირთმევაც კი, ნებისმიერი მიზეზით, ნაადრევი სიკვდილის რისკს ამცირებს. კვლევებით დადგინდა, რომ მამაკაცებს, რომლებიც დღეში ორ ჭიქა ყავას სვამდნენ, სიკვდილის რისკი 12%-მდე შეუმცირდათ, ქალებში კი ეს მაჩვენებელი 7% იყო. კემბრიჯელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ დღეში ერთი ფინჯანი ყავა მამაკაცებში, სიცოცხლეს, საშუალოდ სამი თვით ახანგრძლივებდა, ქალებში კი – ერთი თვით. ეს ნიშნავს, რომ ყოველდღიურად, ფინჯანი ყავა, ძვირფას სიცოცხლეს 9 წუთით გვიხანგრძლივებს. სწავლულები ყავის დამცავ ეფექტს მასში ანტიოქსიდანტებისა და ფენოლური ნაერთების არსებობით ხსნიან.

ნიკოტინზე მეტად, სიზარმაცე კლავს

ფიზიკური პასიურობა ძირითადი ფაქტორია ისეთი დაავადებების განვითარებისა, როგორებიცაა დიაბეტი, გონებასასუსტობა და სიმსუქნე. ცხოვრების უმოძრაო წესი, რომელსაც ჩვენს გლობალიზებულ საზოგადოებაში ბევრი ანიჭებს უპირატესობას, უფრო ხშირად იწვევს ლეტალურ შედეგს, ვიდრე მოწევა. როგორც ბრიტანული „თაიმი“ წერს, ნისლიან ალბიონზე, ყოველი მეექვსე სიკვდილი გამოწვეულია ცხოვრების პასიური წესით, მთლიანობაში კი, მოსახლეობა 20%-ით ნაკლებს მოძრაობს, ვიდრე 60-იან წლებში. ადამიანები დღეს ისეთ მინიმალურ რეკომენდაციებსაც კი არ ასრულებენ, როგორიც თუნდაც, ნახევარსაათიანი გასეირნებაა, კვირაში ხუთჯერ. ზოგადად, ინგლისელები ერთ-ერთი ყველაზე უფრო ზარმაცი ერია მსოფლიოში. ზრდასრული მოსახლეობის ორი მესამედი არასაკმარისად აქტიურია. ბრიტანელების მესამედი – ახალგაზრდებიც და პენსიონერებიც – დღეში ექვს საათზე მეტხანს ატარებენ მჯდომარე პოზაში, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიები ამსუბუქებს სამუშაოს სახლშიც და სამსახურშიც. ფაქტია, რომ ტელევიზორები, კომპიუტერები, პლანშეტები, მობილური ტელეფონები და სხვა მოწყობილობები ხალხს მაგნიტივით იზიდავენ. სწავლულების თქმით, სამწუხაროდ, დღეს, ფიზიკურ პასიურობას ჯანმრთელობისთვის საფრთხედ არ აღიქვამენ. არადა, ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ძირითადი ფაქტორია, როგორც სიმსუქნის, დიაბეტისა და გონებსუსტობის, ასევე, სხვადასხვა დაავადების განვითარების მხრივ.

გასახდომად სიცივე ეფექტიანია

ავსტრალიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სიცივისგან კანკალი, რომელიც ხანგრძლივი ფიზიკური დატვირთის შემდეგაც ჩნდება, ასტიმულირებს თეთრი ცხიმის გარდაქმნას მუქ ცხიმად, რომელიც ენერგიას წვავს. მუქი ცხიმი, შესაძლოა, სიმსუქნესთან, ღვიძლის დაავადებასა და შაქრიან დიაბეტთან ბრძოლაში ახალი თერაპევტული სამიზნე გახდეს. დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ მუქი ცხიმის ქსოვილი, რომელიც კარგადაა განვითარებული პატარებში, ასაკის მატებასთან ერთად ქრებოდა. თუმცა, ახლა ცნობილია, რომ ეს ცხიმი მოზრდილებშიც არსებობს, თანაც ვისაც უფრო მეტი აქვს, გაცილებით მოხდენილი სხეული აქვთ, სისხლში გლუკოზის დონე კი – უფრო დაბალი. ბოლო წლების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მუქი ცხიმის წარმოშობას ხელს უწყობს სიცივე, მაგრამ გაურკვეველი იყო, რა გზით გადასცემდა სხეული უჯრედებს შესაბამის სიგნალს. ამ მექანიზმის გასარკვევად, ავსტრალიელმა სწავლულებმა მოხალისებზე ჩაატარეს ცდები, რომლის დროსაც, ისინი დაბალ ტემპერატურაზე (12 გრადუსამდე) მოათავსეს, ვიდრე სიცივისგან არ აკანკალდნენ. მოხალისებს კანზე დამაგრებული ჰქონდათ მოწყობილობა, კუნთების ელექტრული აქტიურობის შესაფასებლად, ამასთან მათგან აიღეს სისხლის ნიმუშები ჰორმონების გასაზომად. როგორც ცნობილია, თუ ადამიანი იყინება, პირველ რიგში, ორგანიზმის დასაცავად აქტიურდებიან მუქი ცხიმის უჯრედები, რომლებიც ენერგიის მარაგს სითბოდ გარდაქმნიან. იმ შემთხვევაში, როცა ეს ენერგია არასაკმარისია, კუნთები მექანიკურად იკუმშებიან ან ცახცახებენ, რათა სითბოს გამომუშავება გაგრძელდეს. სწავლულბმა გაარკვიეს, რომ ამ დროს იზრდება ორი ჰორმონის – ირიზინის (კუნთების გამომმუშავებული) და FGF2-ის (მუქი ცხიმის ქსოვილის გამომმუშავებული) დონე. ლაბორატორიულმა ექსპერიმენტმა ცხადჰყო, რომ ამ ჰორმონებმა გააააქტიურეს ენერგიის დამწველი მექანიზმი. მკვლევარების განცხადებით, მომავალში, ამ ჰორმონებს სიმსუქნის თერაპიის დროს გამოიყენებენ, რადგან მათი წყალობით, თეთრი ცხიმი მუქად გარდაიქმნება.

ასპირინი – სიმსივნის წინააღმდეგ

სპეციალისტები ხშირად ამბობენ, რომ არასტეროიდული, ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები, მაგალითად, ასპირინი სისხლს ათხელებს და გულს ეხმარება მის გადაქაჩვაში. ამის გამო, მილიონობით ადამიანი, ინსულტისა და ინფარქტის თავიდან არიდების მიზნით, ყოველდღიურად იღებს ასპირინის დაბალ დოზას. აღმოჩნდა, რომ ეს პრეპარატი აქვეითებს მსხვილი ნაწლავის, ფილტვების, სარძევე და წინამდებარე ჯირკვლების კიბოს განვითარების რისკსაც. ვანდერბილდის უნივერსიტეტის სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ასპირინის ყოველდღიური ზემოქმედება ხუთი და მეტი წლის განმავლობაში, აქვეითებს ნებისმიერი სიმსივნური წარმონაქმნის განვითარების რისკს 38%-ით. გამოკვლევაში მონაწილეობდა 6 300 მამაკაცი, მათი ნახევარი ასპირინსა და ანთების საწინააღმდეგო სხვა პრეპარატებს იღებდნენ, დანარჩენები – არა. ოთხი წლის მერე აღმოჩნდა, რომ პირველ ჯგუფში პროსტატის კიბოს განვითარების რისკი 13%-ით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე იმ მამაკაცებში, რომლებიც ამ პრეპარატებს არ იღებდნენ. რაც შეეხება კიბოს სხვა საშიშ ფორმებს, მათი რისკი 17%-ით შემცირდა.

ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲬᲝᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲖᲛᲔ ᲓᲐᲒᲘᲪᲐᲕᲗ

ამერიკელმა სწავლულებმა მისურის უნივერსიტეტიდან, დაადგინეს, რომ ტრადიციული ინგლისური საუზმე შესანიშნვი პროფილაქტიკაა სიმსუქნის წინააღმდეგ და შეუძლია ეფექტიანად შეეწინააღმდეგოს წონაში მატებას. სპეციალისტების თქმით, საუზმე, რომელიც ბეკონის, სოსისების, ლობიოსა და კვერცხისგან შედგება, მდიდარია ცილებით, ტვინში ზრდის დოპამინის – იმ ჰორმონის დონეს, რომლიც არეგულირებს მადას და პასუხისმგებელია კარგ განწყობაზე. იმ ადამიანებს, რომლებიც დილით არ საუზმობენ, ტვინში დოპამინის დონე დაქვეითებული აქვთ. ამის გამო, მათ შიმშილის გრძნობა აწუხებთ და დღის განმავლობაში, ბევრ საკვებს მიირთმევენ, რათა დოპამინის ნაკლებობა აინაზღაურონ და ხასიათიც გაიუმჯობესონ. შედეგად, სახეზე გვაქვს ჭარბი წონა. კვლევებისას, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ მოზარდები, რომლებიც დილით არ საუზმობენ, სიმსუქნისკენ არიან მიდრეკილები. ინგლისური საუზმის მოყვარულები, დღის განმავლობაში, ნაკლებად ფიქრობდნენ საჭმელზე. ტვინში მიმდინარე ქიმიური პროცესების კარგად გათავისებით და ასევე, მათი როლის გათვალისწინებით მადის რეგულაციაში, შესაძლებელია, სიმსუქნის მკურნალობისა და პროფილაქტიკის დახვეწა, – ამბობენ ექსპერტები.

ᲦᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲘ ᲑᲠᲛᲔᲑᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲣᲮᲔᲚᲡ

ბრიტანელმა მეცნიერებმა საუთჰემპტონის უნივერსიტეტიდან, სიბრმავის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმის მკურნალობის მეთოდი აღმოაჩინეს სპეციალური ღეროვანი უჯრედების მეშვეობით, რომელიც თვალის წინა ზედაპირზე დააფიქსირეს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ამ უჯრედების აღება რქოვანას ნაპირიდან (ლიმბა) შეიძლება და შემდეგ მათ ფოტორეცეპტორებად ტრანსფორმირებას იწყებენ. ფოტორეცეპტორების უჯრედების დაკარგვა შეუქცევად სიბრმავეს იწვევს, მკვლევარები იმედოვნებენ, რომ მათი აღმოჩენა მკურნალობის ახალ მეთოდამდე მიიყვანთ. სწავლულბის თქმით, ეს უჯრედები ადვილად მისაწვდომია და საოცრად პლასტიურია, რაც მიმზიდველი რესურსია თვალის დაავადებათა თერაპიისთვის. რქოვანადან აღებული უჯრედები თავიდან აგვაცილებს ისეთ გართულებებს, როგორებიცაა უჯრედების უარყოფა ან ინფექცია, რადგან დონორი და პაციენტიც ერთი და იგივე ადამიანი იქნება. მეცნიერები ამბობენ, რომ ეს ღეროვანი უჯრედები ასაკოვანებსაც აქვთ და მისი აღება 97 წლის ადამიანისგანაც შეიძლება. ვიდრე ამ უჯრედებს სიბრმავის წინააღმდეგ გამოიყენებენ, სწავლულებმა დამატებითი კვლევის სერია უნდა ჩაატარონ.

გენეტიკური მუტაცია მეხსიერებას აუმჯობესებს

კანადელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს გენეტიკური მუტაცია, რომელიც მეხსიერების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მკვლევართა აზრით, ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს ახალი პრეპარატების შექმნას, რომელიც ალცჰაიმერისა და სხვა ნეიროდეგენერაციული დაავადებების მკურნალობას გააადვილებს. თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას, მონრეალის უნივერსიტეტის სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მღრღნელები, რომელთაც eIF2a-გენის (ის პროტეინის სინთეზის კოდირებას ახდენს) დეფექტური ვერსია ჰქონდათ, უკეთესად ასრულებდნენ დავალებებს. კერძოდ, აუზში გაშვებული მუტანტი-თაგვები უფრო ადვილად პოულობდნენ წყალქვეშ მცირე პლატფორმას და ფეხზე დგებოდნენ. მკვლევარების თქმით, მუტანტი გენის მქონე მღრღნელები თანამოძმეებისაგან ისევე გამოირჩეოდნენ, როგორც ის პიროვნება, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებით, ტექსტის ერთი წაკითხვით შეუძლია მისი დაზეპირება. იმის დასამტკიცებლად, რომ თაგვების უჩვეულო უნარი სწორედ მუტაციურ გენს – eIF2a-ს უკავშირდება, მეცნიერებმა ცხოველების ორგანიზმში ხელოვნურად გაზარდეს ამ პროტეინის დონე, რის შემდეგაც მათ აშკარად გამოუვლინდათ მეხსიერების დარღვევის ნიშნები. კანადელი სწავლულების მოსაზრებით, პრეპარატებმა, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ცილა eIF2a-ს ბლოკირებას გამოიწვევენ, შესაძლოა, დიდი დახმარება გაუწიონ ავადმყოფებს, რომლებიც მეხსიერების დაკარგვით იტანჯებიან.

ინსულტი ადამიანის მორალურ პრინციპებს ცვლის

არგენტინელი სწავლულები ნევროლოგიის ინსტიტუტიდან, ერთ საინტერესო დასკვნამდე მივიდნენ. მათი თქმით, ინსულტის Eშემდეგ, ბევრ პაციენტში ფასეულობათა გადაფასება მიდის, ადამინი იცვლის პირვანდელ აზრს ამა თუ იმ მოვლენასა და სხვათა ქმედებაზე. სპეციალისტების ექსპერიმენტი პირველია ამ სფეროში, რომელიც სამყაროსა და მორალურ პრინციპებზე ინსულტის გავლენას აჩვენებს. ბუენოს აირესელი მკვლევარების ცდებმა აჩვენეს, რომ დარღვევები ტვინში, გავლენას ახდენენ ადამიანის შეხედულებაზე. ინსულტის შემდეგ, რომელიც ტვინის ფრონტალურ ნაწილს შეეხო, პაციენტები ხშირად პატიობდნენ სხვებს შეცდომებს, უფრო ლოიალურები იყვნენ, ვიდრე ადრე.

საუკეთესო დიეტა სკანდინავიურია

სწავლულებმა კოპენჰაგენის უნივერსიტეტიდან, დაადგინეს, რომ სკანდინავიური დიეტა სამჯერ მეტად ამცირებს ზედმეტ კილოგრამებს, ვიდრე კვების სხვა რეჟიმი. გარდა ამისა, კარგი პროფილაქტიკაა ინფარქტისა და ინსულტის წინააღმდეგ. ათწლეულების განმავლობაში, კარდიოლოგები და დიეტოლოგები უპირატესობას ხმალეთაშუა ზღვის დიეტას ანიჭებდნენ და მას მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევდნენ. ამტკიცებდნენ, რომ სწორედ კვების ეს რეჟიმი უზრუნველყოფდა ადამიანის დღეგრძელობას, რადგან მას ბევრი დაავადებისგან იცავდა. ამიტომაც რაციონი, რომელიც ზეითუნის ზეთის, ბოსტნეულის, ხილისა და ზღვის პროდუქტებისგან შედგებოდა, სამაგალითო იყო. თუმცა, დანიელმა მეცნიერებმა უფრო ეფექტიანი დიეტა აღმოაჩინეს, რომელიც გაცილებით უკეთესია გასახდომად და გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისთვისაც. მათ დაადგინეს, რომ სკანდინავიური სამზარეულო, რომელიც გარეულ კენკრას, თევზს, სხვადასხვა სახის მწვანილს შეიცავს, საუკეთესოა. დიეტა გაჯერებულია ხილითა და ბოსტნეულით, კარტოფილით, ყველით, უცხიმო რძით, სოკოთი, ნიგვზით, მარცვლეულით, შინაური ან გარეული ფრინველის ხორცით, თევზით და ზღვის წყალმცენარეებით. კვების ამ რეჟიმისას, წითელი ხორცის მინიმალურ რაოდენობას იყენებენ, რაც ცხიმების დონეს ამცირებს. გამოკვლევისას, რომელშიც ჭარბი წონის მქონე 181 ადამიანი მონაწილეობდა, სკანდინავიური დიეტით სამჯერ მეტი დაიკლეს, ვიდრე ტრადიციული რაციონით.

ძილის ნაკლებობა გენებზე მოქმედებს

მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში არასაკმარისი ძილი ადამიანის ასობით გენისა და უჯრედების ცვლილებებს იწვევს, რაც ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედებს. ეს უკანასკნელი კი ჩვენს მოტივაციასა და აქტიურობას განსაზღვრავს. ბოლო პერიოდში, ძილის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ორი ახალი კვლევა ჩატარდა. ბრიტანელი მეცნიერები ძილის, როგორც რეგენერაციული (აღმდგენი) ეფექტის კვლევით დაკავდნენ. თუბინგენის უნივერსიტრეტის მკვლევართა გუნდი კი მეხსიერების ფორმირებაში ძილის მნიშვნელობას სწავლობს. ძილი საჭიროა ზრდის, განვითარების, ნივთიერებათა ცვლისა და იმუნური სისტემისთვის. ორივე კვლევის შედეგი ამტკიცებს, რომ ერთი კვირის განმავლობაში ძილის ნაკლებობა ასობით გენზე მოქმედებს, რომლებიც უშუალო კავშირში არიან იმუნურ სისტემასთან, ანთებით პროცესებთან და სტრესულ რეაქციებთან. ეს კვლევა პირველია, რომელმაც ამომწურავად შეისწავლა, თუ რამდენ გენზე ახდენს გავლენას ძილის ქრონიკული ნაკლებობა. სწავლულების განცხადებით, ერთი კვირის განმავლობაში მუდმივი გამოუძინებლობა, საერთო ჯამში, 711 გენზე ახდენს გავლენას, რაც ადამიანის გენეტიკაში არსებული, დაახლოებით, 23 ათასი გენის 3.1%-ია. კვლევის თანახმად, ძილის ნაკლებობა მოქმედებს იმ გენების აქტიურობაზე, რომლებიც მეტაბოლიზმს აკონტროლობენ. სხვა კვლევებით კი, ძილის ნაკლებობასა და ზედმეტ წონას შორის კავშირი უკვე დადასტურებულია.

კომბოსტო რადიაციის წინააღმდეგ

ნაერთებმა, რომლებსაც ფოთლოვანი კომბოსტო, ყვავილოვანი თუ ბროკოლი შეიცავენ, ლაბორატორიული თაგვები გამა-გამოსხივებისგან დაიცვა. ეს ნაერთები პერსპექტიულია, როგორც სხივური თერაპიის შედეგების შესარბილებლად, ასევე, ტექნოგენური კატასტროფების დროს, რადიაციით დაზარალებულების დასახმარებლად. სპეციალისტების განცხადებით, ანტიკანცეროგენული მოქმედებით, კომბოსტოში არსებული ერთ-ერთი ნაერთი ინდოლ-3 კარბინოლი და ორგანიზმში მისი დაშლის შედეგად მიღებული პროდუქტი – დიინდოლილმეთანი გამოირჩევიან. ეს უკანასკნელი უჯრედებს გამოსხივების შედეგებისგან იცავს ფერმენტის გააქტიურებით, რომელიც დნმ-ის დაზიანებაზე პასუხს არეგულირებს, რაც აუცილებლად ხდება დასხივებულ უჯრედებში. ეს მეტად ღირებული თვისებაა, მაგრამ ის მხოლოდ ჯანმრთელ ქსოვილებს იცავს და არა სიმსივნურს, თუმცა მისი გამოყენება მაინც შესაძლებელია კიბოს დროს, სხივური თერაპიის მავნე შედეგების შესარბილებლად. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, დიინდოლილმეთანი ორ სფეროში გამოიყენონ: სხივური თერაპიისას, პაციენტის ჯანმრთელი ქსოვილების დასაცავად და იმ ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, რომლებიც ტექნოგენური კატასტროფის შედეგად, რადიაციული გამოსხივებით დაზარალდნენ.

ვისთვისაა სასარგებლო პიტნის ჩაი?

ცნობილია, რომ პიტნით მომზადებულ ჩაის შეუძლია ტვინის მოქმედება გააააქტიუროს. ამ მცენარის სურნელოვანი სასმელი თითქმის არავისთვისაა აკრძალული, გარდა პატარებისა, რომლებსაც ზედმეტად კონცენტრირებული ნაყენი არ უნდა მივცეთ, მასში მენთოლის მაღალი შემცველობის გამო. ოფიციალურად და ხალხურ მედიცინაშიც პიტნას ფართოდ იყენებენ. მისი ნაყენი შეგვიძლია მივიღოთ მხედველობის პრობლემების გაჩენისას, როგორც დამამშვიდებელი საშუალება; ტემპერატურის დასაკლებად; კუჭ-ნაწლავის დაავადებების შემთხვევაში; ასევე, როგორც აფროდიზიაკი. პიტნის სასარგებლო თვისებებზე ადრეც ბევრი დაწერილა. მის ეთერზეთში დიდი რადენობით მენთოლია, რომელიც ანტისეპტიკურ, გამაყუჩებელ, ოფლმდენ საშუალებას წარმოადგენს. პიტნის სასმელი საშუალებას იძლევა, მოვიხსნათ დაძაბულობა, მომატებული მეტეომგრძნობელობა, ავამაღლოთ ორგანიზმის შეწინააღმდგების ხარისხი. ცნობილია, რომ ძველ რომში, პიტნის წყალს აპკურებდნენ ხოლმე შენობებს, საკმაოდ ხშირად, იმავე პერიოდში, სადილის წინ, მაგიდებს ახალი პიტნით წმენდნენ ხოლმე. მიიჩნეოდა, რომ მისი არომატი სასიხარულო განწყობას ქმნიდა. შუა საუკუნეებში, სტუდენტები ხშირად ატარებდნენ პიტნისგან დაწნულ გვირგვინებს, რადგან არსებობდა მოსაზრება, რომ ამ მცენარის სურნელი ტვინის მუშაობას ააქტიურებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.